გაზეთი ბოლოს. „ვერსია“ ერთი

ვერსია

№49 (1690) 27 დეკემბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

გაზეთი „ვერსია“ და საინფორმაციო სააგენტო „ჰოთნიუსი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს

2023 წლის მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები

„ამ ოპოზიციის ხელში, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად „ოცნება“ იქნება!“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ROGORA AGNISHNAVEN CIKHEBI AKHALI WELS

„ფეიკი“ ბაჟე, „პეჩენიის“ ნამცხვარი – რა კერძებს და რისგან ამზადებენ საახალწლოდ პატიმრები

IANVARSHI LAMA SHUMANASHVILISA DA TARIEL ONIANIS PIRISPIR SHEKHVEDRA IGEGMEBA

ექსკლუზიური ინფორმაციები „ქურდული სამყაროდან“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი პირი დააკავა, ხოლო ორ პირს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით 1964 წელს დაბადებული შ.კ. დააკავეს. ამავე ბრალდებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ბრალი წარედგინა 1981 წელს დაბადებულ ი.შ.-ს, ხოლო „ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე, ბრალი დაუსწრებლად წარედგინა ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილ, 1993 წელს დაბადებულ ე.მ.-ს.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველების მიერ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით რამდენიმე დანაშაულებრივი ეპიზოდი გამოიკვეთა. კერძოდ, ბრალდებულები „კანონიერი ქურდებისა“ და კრიმინალური ავტორიტეტის სახელით უკავშირდებოდნენ ბიზნესსაქმიანობაში ჩართულ სხვადასხვა პირებს და „ქურდული წილის“ სახით სთხოვდნენ თანხის გადახდას. ამასთან, დაზარალებულებს, დაშინების მიზნით, თვალთვალის შედეგად გადაღებულ ფოტოებს უგზავნიდნენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე და საზოგადოების დამატებით ინფორმირების მიზნით, გვსურს, განმარტება გავაკეთოთ მიგრაციისა და მობილობის შესახებ, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის გაფორმებული შეთანხმების შესახებ.

გაფორმებული შეთანხმება მიზნად ისახავს შრომითი მიგრაციისა და განათლების მიმართულებით, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ამასთან, ქართველი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის მეტი ინტენსივობით განხორციელდება საგანმანათლებლო და სტაჟირების პროგრამები. გარდა ზემოაღნიშნულისა, შეთანხმება ითვალისწინებს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული მექანიზმების გაძლიერებას.

შეთანხმება წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ჩარჩოს, რათა დამატებით შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც ზემოაღნიშნული სამი მიმართულებით შეიმუშავებენ შემდგომი თანამშრომლობის გეგმებსა და სტრატეგიებს. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ქართული მხარე ადვოკატირებას გაუწევს საქართველოს მოქალაქეების შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით ყველა იმ ინიციატივას, რომელიც შედის საქართველოს მოქალაქეების საუკეთესო ინტერესებში.

შეთანხმების საფუძველზე გაფართოვდება საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური დასაქმების არეალი გერმანიის შრომის ბაზარზე. გარდა სეზონური სამუშაოებისა, დასაქმების მეტი შესაძლებლობები გაჩნდება სხვა სფეროებშიც, როგორებიცაა, მაგალითად, ლოგისტიკა, ტრანსპორტა და მომსახურეობა.

შეთანხმება, ასევე, ითვალისწინებს საქართველოს იმ მოქალაქეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რომლებმაც უკვე დატოვეს სამშობლო და ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობენ. გარდა ამისა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება იგეგმება დასაქმებული სპეციალისტების გადამზადებისა და განათლების სისტემაში თანამშრომლობის გაძლიერებით. კონკრეტულად იგეგმება მაქსიმალურად ხელი შეეწყოს სტუდენტების, სტაჟიორებისა და მკვლევარების გაცვლით პროგრამებს.

მოცემული შეთანხმების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ცირკულარული მიგრაციისა და შრომითი ლეგალური მიგრაციის გაძლიერება, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის გათვალისწინებით მოხდება სამუშაო ძალისა და კვალიფიციური მუშახელის მოწესრიგებული მიგრაციის ხელშეწყობა.

სამწუხაროდ, სხვადასხვა მედიასაშუალებაში ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქოს ქართულმა მხარემ უარი განაცხადა ე.წ. ბალკანურ მოდელზე. აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს.

გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საქართველოსა და გერმანულ მხარეს შორის, დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი, მათ შორის, შედგა შესაბამისი შეხვედრები და ვიზიტები, რის საფუძველზეც შემუშავდა ზემოაღნიშნული შეთანხმების პროექტი, სადაც ე.წ. ბალკანური მოდელი არ წარმოადგენდა განხილვის საგანს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 19 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგულ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, განსაკუთრებით მისასალმებელია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გადაწყვეტილება საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებასთან დაკავშირებით.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ყაჩაღობისა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ყაჩაღობისა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დ.პ. დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2019 წლის 5 ნოემბერს, ბრალდებული სამ პირთან ერთად, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში, ყაჩაღობის მიზნით თავს დაესხა თ.ბ.-ს. თავდამსხმელები დაზარალებულზე ძალადობით მისგან ფულსა და ოქროს ნივთებს ითხოვდნენ. თ.ბ.-ს წინააღმდეგობის შეწყვეტისა და თანხის დაუფლების მიზნით ბრალდებულებმა იგი შებოჭეს და დაახრჩვეს, რის შემდეგაც დაზარალებულის ოჯახის კუთვნილი 7 900 ლარის ღირებულების ოქროს ნივთებს, 3 100 ლარს, 1 600 ლარად ღირებულ „ლენოვოს“ ფირმის ლეპტოპს დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

ვინაიდან დ.პ. მიმალვაში იმყოფებოდა, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, ჩადენილი ჯგუფურად, ანგარებით, არაერთგზის) და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) წარედგინა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

წითელი ცირკულარით ძებნილი დ.პ. საქართველოს მხარის მოთხოვნით, საფრანგეთში სამართალდამცველებმა დააკავეს. მისი საქართველოში ექსტრადირება 2023 წლის 29 მარტს განხორციელდა.

„თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2020 წელს, თელავის რაიონულმა სასამართლომ ჯგუფის სხვა წევრები დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ორ პირს 20-20 წლით, ხოლო ერთს – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აგენტების ჩავარდნილი კანონიდან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

თათია გოჩაძე
598-43-50-34

2023 წლის ყველაზე მთავარი პოლიტიკური მოვლენები საქართველოსა და მსოფლიოში

„ვერსია“ 2023 წელს აჯამებს და წლის მთავარ პოლიტიკურ მოვლენებს შეგახსენებთ...

წლის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაა. ევროპულმა საბჭომ ეს გადაწყვეტილება 14 დეკემბერს გამოაცხადა. მანამდე კი, ამ ჩვენთვის სასიხარულო ამბის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა სოციალურ ქსელში დაწერა:

„ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ. საბჭომ საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი“...

საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების საკითხი საუკუნის, ან თუნდაც საქართველოს მთელი ისტორიის მთავარ თემადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ჩვენმა სახელმწიფომ გადადგა პირველი რეალური ნაბიჯი ევროპულ ოჯახში დასამკვიდრებლად. წინ ევროკავშირის წევრობაა და იმედია, ამ სანატრელ მიზანს ქართველი ხალხი უმოკლეს დროში მიაღწევს...

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად აღნიშნა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქუჩებსა და შენობებზე საქართველოსა და ევროკავშირის დროშები გამოიფინა. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საერთო სახალხო ზეიმი გაიმართა.

ცნობისთვის: ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაციით ევროპულ საბჭოს 8 ნოემბერს მიმართა.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ 2022 წლის 2 მარტს განაცხადა, რომ საქართველომ მიმართა ევროკავშირს წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად. იმავე წლის 3 მარტს კი, წევრობაზე საქართველოს ოფიციალურ განაცხადს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი მოაწერა.

2022 წლის ზაფხულში, ევროპულმა საბჭომ უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, საქართველოს კი – არა. საბჭომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა აღიარა და განაცხადა, რომ მზად იყო, კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდებოდა.

საქართველოს შესახებ შარლ მიშელი წერდა:

„ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა, აღიაროს საქართველოს ევროპული პერსპექტივა და მზადაა, კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს, როგორც კი დასახული პრიორიტეტები შესრულდება. ვულოცავ ქართველ ხალხს. ეს ისტორიული მომენტია ევროკავშირი– საქართველოს ურთიერთობებში. საქართველოს მომავალი ევროკავშირშია“.

კომისიის რეკომენდაცია იყო, რომ საქართველოს მოეგვარებინა 12 პრიორიტეტული საკითხი.

2023 წლის ნოემბერში, ევროკომისიამ საქართველოს ახალი დათქმები გამოუცხადა, რომელთა სრული ჩამონათვალი და თანმიმდევრობა ასეთია:

1. ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან და (უცხოურ) ჩარევასთან ბრძოლა;

2. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს საგარეო პოლიტიკის თანხვედრის მაჩვენებლის გაუმჯობესება;

3. პოლიტიკური პოლარიზაციის წინააღმდეგ დამატებით ბრძოლა, მათ შორის, პარლამენტში ოპოზიციურ პარტიებთან უფრო ინკლუზიურად მუშაობის გზით, განსაკუთრებით, საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე;

4. თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, 2024 წელს და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის, ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არჩევნების დღემდე დიდი ხნით ადრე;

5. საპარლამენტო ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით, უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუტების, განსაკუთრებით, საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;

6. ყოვლისმომცველი და ეფექტური სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულება გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის გზით;

7. ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტურობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება ინკლუზიური პროცესით. კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევების ეფექტური გამოძიების ძლიერი გამოცდილების დაგროვება;

8. დეოლიგარქიზაციის შესახებ არსებული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესება, რათა დეოლიგარქიზაცია განხორციელდეს მრავალსექტორული, სისტემური მიდგომით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის შედეგად, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით;

გაგრძელება მე-4 გვერდზე

აგენტების ჩავარდნილი კანონიდან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

მე-3 გვერდიდან

9. ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის მიღებითა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა.

* * *

რაც შეეხება წლის სხვა მნიშვნელოვან თემებს...

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 18 დეკემბერს, მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიში წარადგინა. მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე. პრემიერმა სიტყვით გამოსვლა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით დაიწყო. პრემიერის მიერ 2023 წლის შეჯამება „ვერსიამ“ წინა ნომერში გამოაქვეყნა.

* * *

2023 წლის შეჯამების დროს, აღსანიშნავია მიმდინარე წლის მარტის საპროტესტო აქციები, რომლის მიზეზიც გახდა პარლამენტის მიერ უცხოელი აგენტების შესახებ კანონის მხარდაჭერა. მარტში, რუსთაველის გამზირზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, მათ შორის, დიდი წილი იყო ახალგაზრდობა, რომელმაც ე.წ. აგენტების კანონი დაგმო და საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სვლას კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. ეს იყო საკითხი, სადაც ქართველთა ერთსულოვნება შეიმჩნეოდა ყველგან – ქუჩაში თუ სოციალურ ქსელებში...

9 მარტს, დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ სადავო კანონპროექტი უკან გაიწვია.

მარტის აქციების დროს, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აქციის მონაწილეებს მხარი დაუჭირა და განაცხადა, რომ ევროპული ინტეგრაციის გზა დაცული უნდა იყოს.

რადგანაც პრეზიდენტი ვახსენეთ, აქვე, წლის კიდევ ერთ მთავარ თემას შეგახსენებთ – 2023 წლის პირველ სექტემბერს, ცნობილი გახდა, რომ მმართველი პარტია იწყებდა საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს საკითხის განსახილველად და დასკვნის მოსამზადებლად კონსტიტუცია ერთთვიან ვადას აძლევდა. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პარლამენტში კენჭისყრაზე გასატანად აუცილებელი იყო სასამართლოს უარყოფითი დასკვნა (9 მოსამართლიდან 6-ის თანხმობა).

16 ოქტომბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროკავშირის სამ ქვეყანაში მთავრობის თანხმობის გარეშე მოგზაურობით, სალომე ზურაბიშვილმა ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია.

იმპიჩმენტის საქმემ საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა, თუმცა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის კენჭისყრისას, საქართველოს პარლამენტში ვერ მოგროვდა 100 დეპუტატი, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას...

* * *

2023 წელს, საქართველოს ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტია ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპარტიული არჩევნები ჩატარდა, რომლის მიხედვითაც პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა და ახალი პოლიტსაბჭო იქნა არჩეული. აღნიშნული გადაწყვეტილება პარტიის ყოფილმა თავმჯდომარე ნიკა მელიამ და მისმა გუნდმა გააპროტესტა. ეს ხანგრძლივი პარტიული დაპირისპირების პროცესი ენმ-ის კიდევ ერთ დაშლამდე მივიდა – ცოტა ხნის წინ, საკუთარ მხარდაჭერებთან ერთად, მელიამ ნაციონალური მოძრაობა დატოვა და ახალი პარტიის შექმნა დააანონსა.

* * *

2023 წელს, რუსეთ-უკრაინის ომი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო – ომის დაწყებიდან უკრაინა დატოვა 6.3 მილიონ ადამიანზე მეტმა, აქედან 5.9 მილი-

დასასრული მე-5 გვერდზე

აგენტების ჩავარდნილი კანონიდან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსამდე

მე-4 გვერდიდან

ონმა დევნილმა – ქალებმა, ბავშვებმა და მოხუცებმა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეაფარეს თავი.

ბრიუსელმა ოპერატიულად გამოაცხადა სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ომს გაქცეულმა უკრაინის მოქალაქეებმა მიიღეს თითქმის იგივე უფლებები, რაც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებმა: დასაქმების, განათლების, უფასო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ასევე სახელმწიფო სოციალური დახმარება, რაც ყოველთვიურ გადასახადებსა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას მოიცავს.

უკრაინელი ლტოლვილების დროებითი დაცვის სტატუსი ევროკავშირში ძალაშია 2024 წლის გაზაფხულამდე, თუმცა ვინაიდან ომი გრძელდება, მოსალოდნელია, რომ ეს პროგრამა გაისადაც შენარჩუნდება.

უკრაინა აფრთხილებს მოკავშირეებს, რომ აშშ-ის სამხედრო დახმარების გარეშე, უკრაინა დიდი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება. ერმაკის თქმით, არსებობს „უზარმაზარი რისკი“ იმისა, რომ ამერიკის მხარდაჭერის გარეშე, უკრაინა დამარცხდება რუსეთთან ომში...

* * *

2023 წლის მთავარ თემად, მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, პალესტინა-ისრაელის ომიც უნდა ვახსენოთ.

7 ოქტომბერს, „ჰამასის“ მოულოდნელი რეიდი ისრაელზე და ღაზას სექტორის საპასუხო დაბომბვა მორიგი და ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ეპიზოდია 75-წლიან კონფლიქტში, რომელშიც გარეშე ძალებიც არიან ჩათრეულნი. ახალი ომი მთელ შუა აღმოსავლეთში იწვევს ვითარების დესტაბილიზაციას – წერდა „რადიო თავისუფლება“.

ბოლო ცნობებით, აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებით, ისრაელი კარგავს საერთაშორისო მხარდაჭერას. როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ამბობს, ახლა ისრაელს მსოფლიოს უმრავლესობა უჭერს მხარს, მაგრამ ეს მხარდაჭერა იკარგება იმის ფონზე, როცა ისრაელი განურჩევლად ბომბავს ღაზას სექტორს. მისი თქმით, ნეთანიაჰუმ პოლიტიკა უნდა შეცვალოს.

თავის მხრივ, ნეთანიაჰუც აშშ-ის პრეზიდენტთან გარკვეული უთანხმოების შესახებ საუბრობს. ის წინააღმდეგია, „ჰამასის“ განადგურების შემდეგ, ღაზას სექტორში ძალაუფლება გადაიბაროს პალესტინის ავტონომიამ, რომელიც 1990-იან წლებში დადებული ოსლოს შეთანხმების შედეგად, აკონტროლებს დასავლეთ სანაპიროს და 2007 წლამდე აკონტროლებდა ღაზას სექტროსაც.

ისრაელმა „ჰამასს“ ომი 7 ოქტომბერს, მას შემდეგ გამოუცხადა, რაც ტერორისტული ორგანიზაცია ისრაელის ტერიტორიაზე ღაზას სექტორიდან შეიჭრა და განურჩევლად დახოცა 1200-ზე მეტი ადამიანი, მათი უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქე, რომელთა შორის იყვნენ ბავშვები, მოხუცები, ქალები და შშმ პირები.

ისრაელმა და „ჰამასმა“ ნოემბრის ბოლოს ცეცხლის შეწყვეტის დროებითი ზავის შესახებ განაცხადეს, რა დროსაც „ჰამასმა“ 7 ოქტომბერს გატაცებული 84 ისრაელელი და სხვა ქვეყნების 24 მოქალაქე გაათავისუფლა. სანაცვლოდ, ისრაელმა „ღაზაში“ ჰუმანიტარული ტვირთი შეუშვა, ხოლო ციხიდან 240 პალესტინელი გაათავისუფლა. შეთანხმებამ მხოლოდ 7 დღეს გასტანა, რის შემდეგაც საბრძოლო მოქმედებები სრულად განახლდა.

* * *

წელსაც, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და მტკივნეული თემა იყო ოკუპირებული ტერიტორიები... „ვერსიასთან“ საუბრისას, პოლიტიკოსი პაატა დავითაია აღნიშნავდა, რომ „ანექსიისკენ მიჰყავს რუსეთს ჩვენი ტერიტორიები!“

მიმდინარე წელს, ოკუპანტებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ქართველი თამაზ გინტური მოკლეს... გარკვეული პერიოდის შემდეგ, ოკუპირებულ გალში მოკლეს საქართველოს მოქალაქე თემურ კარბაიაც...

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ცოტა ხნის წინ, გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე რუსეთის ფედერაციას სიცოცხლის უფლების დარღვევა დაუდგინა და არამატერიალური ზიანის სახით, გიგა ოთხოზორიას ოჯახს 130 000 ევროს კომპენსაცია მიანიჭა.

* * *

2024 წელი საქართველოში პოლიტიკურად მნიშვნელოვანი იქნება, რადგან გაიმართება საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები განახლებული წესების მიხედვით – 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ამომრჩეველთა სულ მცირე 70% ელექტრონული ხმის აპარატის გამოყენებით მისცემს ხმას, დანარჩენ საარჩევნო უბანზე კი, ბიულეტენები გაციფრულდება.

მოქმედი წესით, მომავალი საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციულია, პარლამენტში კი ის პარტიები მოხვდებიან, რომლებიც 5%-იან ბარიერს გადალახავენ. ეს წესი საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლშია გაწერილი.

„ამ ოპოზიციის ხელში, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად „ოცნება“ იქნება!“

მაკა რუხაძე

ამირან სალუქვაძე: „როდესაც კითხვას სვამენ, როგორ აისახება ბიუჯეტი ხალხზე, აი, სწორედ ასე აისახება – ჯარისა და პოლიციის ქალაქებით, დაზღვევის კარგი პაკეტებით, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამით, პენსიისა და ხელფასის ზრდით“

გასული წლის შეჯამება მარტივად, ერთი წინადადებითაც შეიძლება – თითქმის სამსაუკუნოვანი ოცნება ასრულდა და დიახ, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 18 დეკემბერს, მთავრობის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენა, სწორედ ამ გადაწყვეტილების მისალმებით დაიწყო. ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა მოქმედი ხელისუფლების ძალისხმევას ომის თავიდან აცილების შესახებ და განაცხადა, რომ საქართველოს არ დაურღვევია საერთაშორისო სანქციები. ანგარიშში პრემიერმა ყურადღება გაამახვილა იმ სხვაობაზე ეკონომიკურ და თავდაცვის მაჩვენებლებში, რაც 2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებობდა.

„ვერსიასთან“ ინტერვიუში გასულ წლის მთავარ ეკონომიკურ მოვლენებს პოლიტიკური ჭრილში აფასებს თავდაცვის გენერალი, ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ამირან სალუქვაძე.

– ბატონო ამირან, როგორ შეაჯამებთ გასულ წელს ირაკლი ღარიბაშვილის წლიური ანგარიშის მთავარი აქცენტების გათვალისწინებით?

– მოდით, გლობალური პროცესები მოკლედ მიმოვიხილოთ და გავიხსენოთ, წარმოვიდგინოთ, თუ რა ვითარებაში გავატარეთ ჩვენ 2023 წელი და 2022-იც, რადგან მეტწილად, ერთი და იგივე პროცესები მიმდინარეობდა, თუ ყველაფერს რუსეთ-უკრაინის ომს დავუკავშირებთ და აქედან გამომდინარე, მძიმე პროცესებს, რაც მსოფლიოში წარიმართა. ალბათ, ცივი ომის დროსაც კი არ იყო ისეთი მძიმე დაპირისპირება მაშინდელ საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის, როგორიც არის ახლა რუსეთსა და დასავლეთს შორის. ისეთი რიტორიკა, როგორიც ახლაა და ასეთი მძლავრი სანქციები – 18 000-მდე სანქციაა დაწესებული ამ მოკლე ვადაში რუსეთის წინააღმდეგ – აქამდე არ ყოფილა. მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში რომ შევაჯამოთ, ვნახავთ, რამდენად რთული გამოწვევების წინაშე ვართ ჩვენ და რა გამოწვევების წინაშეა დღემდე მთელი მსოფლიო.

ამას დავამატოთ ის, რომ 2023 წელს იყო საკმაოდ მძაფრი პროცესები შორეულ აღმოსავლეთში, ვგულისხმო ჩინეთ-ამერიკის დაპირისპირებას ტაივანის ირგვლივ. 2023 წელს დაიძაბა ვითარება და დღემდე გრძელდება ისრაელი-ჰამასის დაპირისპირება ღაზას სექტორში. გარდა ამისა, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ის საკითხები, რაც ირანს უკავშირდება. იემენელი ჰუსიტების წინააღმდეგ კოალიცია იკრიბება და არავინ იცის, როგორ გაგრძელდება ეს ყველაფერი, ცალკე შესაფასებელია ის, რომ სუეცის არხი მუდმივად დაბლოკილია და სავაჭრო ხომალდებს უწევთ აფრიკის შემოვლითი მარშრუტით სარგებლობა, რაც შესაძლოა, შემდგომში აისახოს ეკონომიკასა და ფასების მატებაზე. ფაქტობრივად, დუღს მსოფლიო, მაგრამ უკრაინას რომ დავუბრუნდეთკ, ვხედავთ, რამდენად მძიმე ვითარებაა – ათასობით ადამიანია დაღუპული ორივე მრიდან, კიდევ უფრო მეტი დაჭრილ-დასახიჩრებულია. ამ ომმა, როგორც შიდა, სიე გარე დაძაბულობები გამოიწვია ჩვენთვის, როგორც ევროინტეგრაციის გზაზე. საომარ მოქმედებებში ჩათრევის საკმაოდ მაღალი რისკი იყო, რომ აქაც დაძაბულიყო ვითარება. ამ ფონზე, შიდა პოლიტიკური პროცესები რომ დუღდა ამ ორი წლის მანძილზე, ვფიქრობ, მკითხველს შეხსენება არ სჭირდება.

ყველაფერი ეს გამოვიარეთ და ამ ფონზე, მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართა პროცესები ხელისუფლებამ, როგორც ეკონომიკის განვითარების კუთხთ, ისე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მრივ. მთავარი შიდა პოლიტიკური გამოწვევა იყო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღება და ესეც წარმატებით დაგვირგვინდა.

– დიახ, ამ ხნის მანძილზე, გამუდმებით გვესმოდა, რომ საქართველოს პრორუსული ხელისუფლება ჰყავს, რომ უკრაინას სათანადოდ არ უჭერს მხარს, არადა, დახმარების ხელიც გავუწოდეთ და ლტოლვილებიც შევიფარეთ და მეტი რა უნდა ექნა ქვეყანას, რომლის 20% ოკუპირებულია? რა გამოვიდა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი „პრორუსული ხელისუფლების“ პირობებში მივიღეთ?

– მესმის თქვენი ირონია, მაგრამ მეტსაც გეტყვით, სასაცილოცაა ყველაფერი ეს. მესმის, რომ ოპოზიციას იარლიყების მიწებების გარდა, სხვა არაფერი დარჩენია, თუმცა თუ შევუტრიალებთ იქეთ – რაც ამ კოლექტიურმა ოპოზიციამ გაუკეთა რუსეთს, ალბათ, 200 წლის მანძილზე, ამდენი არავის გაუკეთებია. თუკი რამე სურვილი ჰქონდა პუტინს, მოკლე ვადებში, ყველაფერი მიიღო, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციით დაწყებული და ღრმა დეტალებში არ შევალ, უმრავი დასავლელი ლიდერის შეფასება არსებობს, რომ სააკაშვილის პოლიტიკა ომის წინ იყო უგუნურზე უგუნური... ომის შემდეგ, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღება, სადაც ერთადერთი, გადამწყვეტი ხმა იყო დარჩენილი, რომელიც საქართველოს ჰქონდა და ეს ხმაც რუსეთს მივეცით. უვიზო მიმოსვლის დაწესება 2010 წელს, ასევე, უგუნურება იყო და ვერაფრით მართლდება. სტრატეგიული ობიექტების გადაცემა ცალკე შეფასების საგანია! არ ვიცი, კიდევ ლმობიერად ექცევა დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილს, რადგან ამ ქმედებების გამო, გაცილებით მკაცრი ზომები უნდა მიეღო ზოგადად, ნაციონალურ მოძრაობასთან და კონკრეტულ თანამდებობის პირებთან მიმართებაში.

ერთი, კონკრეტული მაგალითი განვიხილოთ – როდესაც სტრატეგიულ ობიექტებს ასხვისებ, სათანადო ეკონომიკური ეფექტი უნდა მიიღო. ეკონომიკაზე მუშაობ შენ და მგონი, არ ვცდები, როდესაც ჰიდროელექტროსადგურს ჰყიდი ოკუპანტ სახელმწიფოზე, რაღაც ხომ უნდა მოგიტანოს ამან? „ხრამჰესის“ გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი – 90 მილიონი დახარჯეს პარლამენტის შენობის მშენებლობაზე ქუთაისში. მსგავსი სისულელე, ვერ წარმომიდგენია! მხოლოდ ერთი რამ იკვეთება, რომ პარლამენტი ააშენა და ფული „მოტეხა“ – 360 მილიონი დაიხარჯა პარლამენტის შენობის მშენებლობაზე. დღეს, ის ხალხი საუბრობს ხელისუფლების პრორუსულობაზე, რომლებმაც რუსული რუბლებით ააშენეს პარლამენტის, საკანონმდებლო ორგანოს შენობა! ეს იმიტომ, რომ სხვა არაფერი დარჩენიათ.

ადრე ვსაუბრობდი, რომ პოლიტიკური პროცესი მარგინალიზაციისკენ მიდიოდა, მაგრამ ახლა მთლიანად მარგინალიზებულია. მთელი ოპოზიცია მარგინალიზებულია – განულებულია მთლიანად! NDI-ის კვლევა,

გაგრძელება მე-16 გვერდზე

„ამ ოპოზიციის ხელში, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად „ოცნება“ იქნება!“

მე-6 გვერდიდან

რომელსაც ხელისუფლება არ ენდობა და ახლა უკვე, არც ოპოზიცია ენდობა, არადა, ერთ დროს მათი მთავარი საყრდენი იყო. როდესაც NDI მეორე ადგილზე მყოფ პარტიას უწერს 4%-ს, ეს ხომ კატასტროფაა. გასაგებია, რეალურად, გაცილებით მეტს – 14-15%-ს აიღებენ, მაგრამ ესაა მეორე ადგილზე მყოფი პარტია. დანარჩენ ყველა პარტიას, ჯამში 12% აქვს, რაც კატასტროფაა. შეიძლება, არჩევნებზე ერთი ან ორი პარტია მიუახლოვდეს 5%-ს და გადალახოს, მაგრამ ესაა ჩვენი პოლიტიკა.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ჩვენ არ გვაქვს ნორმალური პოლიტიკური დებატები, დისკუსიები, რაც პირველ რიგში, ოპოზიციას უნდა სჭირდებოდეს, რომ საქმეზე ილაპარაკოს და საკუთარი თავი წარმოაჩინოს. ხელისუფლებას ეს არ სჭირდება, ხელისუფლება ქვეყნის მართვის სათავეშია, წარმართავს ბიუჯეტს, ეკონომიკას, სოციალურ პროცესებს და რეალურად მოქმედებს. რასაც პარტია წინასაარჩევნოდ პირდება მოსახლეობას, ასრულებს. რასაც აკეთებს, ამას მოსახლეობა ხედავს, შესაძლოა, ვიღაცას მოსწონს, ან პირიქით – არ მოსწონს, ზოგს – მეტად, ზოგს – ნაკლებად, ესაა სასაუბრო თემა და ზუსტად ამაზე უნდა საუბრობდეს ოპოზიცია. საქმეზე ლაპარაკის ნაცვლად, ვხედავთ დემაგოგიასა და საბოტაჟს. ამას მოსახლეობა ხედავს, ჩემი მოსაზრება ხომ არ არის, მხოლოდ? გაიარონ ქუჩებში და ხალხს ჰკითხონ, იგივე, კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. ხალხი ფიქრობს, რომ ოპოზიცია ჩასაფრებული იყო და საბოტაჟს აწყობდა.

– პირდაპირ სთხოვდნენ, თურმე, არ მისცეთ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსიო და ეს საბოტაჟი კი არა, საკუთარი ქვეყნის სიძულვილია!

– დიახ, ზუსტად ამას ვამბობ. იმის ნაცვლად, რომ დღეს ვიხილავდეთ სხვადასხვა პარტიების პოზიციებს, იგივე, ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებით, გვიწევს ცალმხრივად საუბარი – ხელისუფლების ქმედების შეფასება. მეორე მხარეს, საპირწონე რომ ავიღოთ და სასწორზე დავდოთ, არ არის. გარდა, ამ უაზრო ძიძგილაობისა და იარლიყებისა, რაც პრორუსულობასთან დაკავშირებით მკითხეთ. რაც შეეხება კანდიდატის სტატუსს, ის შედეგი დადგა, რაც უნდა დამდგარიყო. ევროკავშირი და ნატო თუ ვერ ანსხვავებს, პრორუსულია ხელისუფლება, თუ – არა, მაშინ, არ ყოფილა მათი საქმე მთლად კარგად. ამიტომ, ოპოზიციის ეს ნარატივი აბსურდულია.

– ახლა მთავრობის წლიური ანგარიშის მთავარი აქცენტები შევაჯამოთ, რომლის მიხედვითაც 2023 წლის მთავარი ეკონომიკური საკითხების შეფასება ირაკლი ღარიბაშვილმა 2012 წელთან შედარებით დაიწყო ანუ რა ეკონომიკა გადაიბარა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ და რას მიაღწია განვლილი 11 წლის განმავლობაში. ციფრები მართლაც შთამბეჭდავია – გასამმაგებული ბიუჯეტი, ეფექტიანი პროგრამები ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით, ინფრასტრუქტურული პროექტები. რა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა მიმდინარე წელს?

– პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდის ტემპების შენარჩუნება. ორი წლის მანძილზე, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. 2023 წელსაც ეს შენარჩუნდა და გვახსოვს, ოპოზიციის მუდმივი კიჟინი, განსაკუთრებით, ვიდრე სააკაშვილს დაიჭერდნენ, ევროპას რომ დავეწიოთ, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა უნდა გვქონდესო. როდესაც ეს რეალურად დაინახეს, ამ თემაზე დეტალებში შესვლა აღარ სურთ და ზედაპირულად, იარლიყების მიწებებას აგრძელებენ.

მსოფლიოში განვითარებული მძიმე პროცესების ფონზე, ეკონომიკის ასეთი ტემპით ზრდას და ზოგადად, ამ შედეგს ბევრი ახსნა და შეფასება არ სჭირდება. ამ თემის „გაბითურებასაც“ ცდილობენ და მუდმივად გვესმის, დიახ, გაიზარდა, მაგრამ ხალხს – რა? მოდით, მაშინ ასე შევხედოთ, ეკონომიკური ზრდა რომ არ იყოს, რა მდგომარეობა გვექნებოდა ქვეყანაში? ბიუჯეტი რომ არ იზრდებოდეს ყოველწლიურად, როგორ სოციალურ პოლიტიკას გაატარებდა ხელისუფლება და როგორ აისახებოდა ეს მოსახლეობაზე? ახლა გვაქვს პენსიის ზრდა და მნიშვნელოვანი სოციალური პაკეტები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს.

რა ბიუჯეტიც არსებობდა 2012 წელს, დაახლოებით, 7 400 000 000 ლარი, ეს თანხა დღეს მხოლოდ ერთ – ჯანდაცვის სამინისტროში იხარჯება. მუდმივად საუბრობენ იმაზე, რატომ ადარებენ 2012 წელსო და ნებისმიერი ხელისუფლება ასე იზამდა. სააკაშვილი გამუდმებით შევარდნაძის მმართველობის პერიოდს ადარებდა, თუმცა მას ამის მორალური უფლება არ ჰქონია, რადგან თავად და მთელი ნაციონალური მოძრაობა იყვნენ მოქალაქეთა კავშირისა და შევარდნაძის მმართველობის შემადგენელი ნაწილი. როდესაც „ოცნება“ წავა და სხვა პარტია გაიმარჯვებს – თუმცა ამ ოპოზიციის ხელში, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად

დასასრული მე-8 გვერდზე

„ამ ოპოზიციის ხელში, გარანტიას გაძლევთ, რომ ხელისუფლებაში მუდმივად „ოცნება“ იქნება!“

მე-7 გვერდიდან

„ოცნება“ იქნება! ვიდრე ეს ხალხი არ წავა პოლიტიკიდან და სხვა ხალხი არ შემოვა, „ოცნება“ იქნება სულ და ვინც შეცვლის, ისიც წინამორბედის მმართველობას შეადარებს საკუთარ მიღწევებს. ამიტომ, 2012 წელთან შედარების დროს, „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერ შუაშია, უბრალოდ, 2012-ში მოვიდნენ ხელისუფლებაში და იმას ადარებენ, რა ჩაიბარეს და რა გააკეთეს ამ 11 წლის განმავლობაში.

ავიღოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და განვიხილოთ, რამდენმა მოახერხა ათი წლის მანძილზე ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გასამმაგება. თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სხვა რეალობა ჰქონდათ, ისინი საკმაოდ სწრაფად მოხვდნენ ევროკავშირსა და ნატო-ში. მე ვთვლი, რომ ამ დაძაბულ ფონზე, საკმაოდ წარმატებულია ხელისუფლება, მაგრამ როგორ აისახება მოსახლეობაზე, ესეც განვიხილოთ. პრემიერმა განაცხადა, რომ 11 წლის განმავლობაში, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე 9 მილიარდი ლარი დაიხარჯა. ამ პროგრამამ რეალურად, ძალიან ბევრი ადამიანი და ოჯახი გადაარჩინა. 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე 20%-ით მეტი მარტო საყოველთაო ჯანდაცვაზე დაიხარჯა ამ 11 წელში. 1 200 000 ადამიანი იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 2012 წელს, მაგრამ წელს 600 000-ია. დიახ, ეს 600 000 დიდი ციფრია, მაგრამ 1 200 000-ზე ნაკლებია და ესაა რეალობა. ეკონომიკის შემდგომმა განვითარებამ უნდა მოგვიტანოს ის, რომ ყოველწლიურად, უფრო და უფრო ნაკლებ ადამიანს გაუჭირდეს და ეს ციფრი უნდა შემცირდეს ყოველწლიურად. ამაზე უნდა ეკამათოს ოპოზიცია ხელისუფლებას, რაც სამწუხაროდ არ ხდება ჩვენთან. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი პროგრამები და ხედვები წარმოადგინონ, აბსურდულ იარლიყებს აწებებენ და პრორუსებს უწოდებენ... კოალიციებზე საუბრობენ, რა კოალიცია, ამ პოლიტიკური კულტურის პირობებში, როგორ შეიძლება კოალიციაზე საუბარი? კოალიციები იკრიბებიან რომელიმე პარტიის წინააღმდეგ კი არა, არამედ – ღირებულებების, პროგრამებისა და დაპირებების მიხედვით.

პირველად დაწესდა ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში, რომ პენსია ყოველწლიურად იზრდება, 20-30 ლარი ცოტაა, მაგრამ ყოველწლიურად იზრდება და უკვე თემაა. შესაძლოა, ერთი ან ორი წლის შემდეგ, ეკონომიკის ზრდამ მოიტანოს ის, რომ ყოველწლიური დანამატი კიდევ უფრო გაიზარდოს, მაგრამ ეს რეალურია და გათვლილია იმაზე, რომ პენსიის ზრდამ ინფლაცია და უკუპროცესი არ გამოიწვიოს.

სოციალურ პროექტებს რაც შეეხება, რაც ამ წლებში, ჯანდაცვის მხრივ კეთდება, სოციალურად ასე ორიენტირებული მთავრობა მსოფლიოში, ალბათ, ძალიან ცოტაა. დავიწყოთ ჟ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, ბავშვთა ონკოლოგია, ღვიძლის გადანერგვის სრულად დაფინანსება... ყველას გვახსოვს, რომ აპენდიციტის ოპერაციის გამო, ხალხი სესხს იღებდა, მაგრამ დღეს ეს პრობლემა არ არის.

თავდაცვის ბიუჯეტი 1 400 000 000 ლარამდე ადის და გაცხადებული გვაქვს, რომ მშპ-ს 2%-მდე იქნება. როცა მშპ იზრდება, ეს აისახება თავდაცვის ბიუჯეტზე, რადგან თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება ძალიან მნიშვნელოვანია ამ დაძაბულ ვითარებაში.

– მინდა, ჯარისა და პოლიციის ქალაქებზეც ვისაუბროთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტებია.

– თავდაცვის ბიუჯეტის დეტალებზე ვერ დაგელაპარაკებით, ჯერ ერთი, არ ვიცი და მეორეც – ყველაფერი არც უნდა განსაჯაროვდეს. რაც შეეხება სოციალურ ნაწილს, ამ მიმართულებით, ძალიან ბევრი რამ კეთდება – დაწყებული დაზღვევის კარგი პაკეტებით, დამთავრებული ხელფასის ზრდით. რაც შეეხება საბინაო ფონდს, ის,რ აც ბოლო წლების მანძილზე კეთდება ჯარისთვის, დამიჯერეთ, 30 წლის მანძილზე, სანატრელი და საოცნებო იყო ჩვენთვის კი არა, თანამდებობის პირებისთვის, არამედ, ოფიცრებისთვის, რომ მათ სტიმული ჰქონოდათ. წარმოიდგინეთ, რამხელა სტიმულია, როდესაც იცის ოფიცერმა, რომ ადრე თუ გვიან, ის ბინით დაკმაყოფილდება. იგივე ხდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა ძალოვან უწყებებში.

როდესაც კითხვას სვამენ, როგორ აისახება ბიუჯეტი ხალხზე, აი, სწორედ ასე აისახება – ჯარისა და პოლიციის ქალაქებით, დაზღვევის კარგი პაკეტებით, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამით, პენსიისა და ხელფასის ზრდით...

ჩვენ ახლა ხელისუფლების საქმიანობის პოზიტიური შეფასება გვიწევს, თუმცა კრიტიკული შეფასება კი არ მიჭირს, პოლიტიკურ პროცესში არ ვარ. ამას უნდა აკეთებდეს ოპოზიცია. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს ანუ ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც, აი, ეს იქნებოდა ნორმალური. შესაბამისად, კოჭლი პოლიტიკური პროცესი გვაქვს ჩვენ. იმხელა ანგარიში წარადგინა პრემიერმა, ორ საათზე მეტხანს ისაუბრა და სულ ციფრებით. არც მქონია მოლოდინი, რომ ოპოზიცია აიღებდა ამ ციფრებს და ამაზე ააგებდა თავის პოლიტიკას. აქ შეიძლებოდა ჩაყოლა, შეფასებები და თითოეული ციფრი უნდა გაეცამტვერებინა ოპოზიციას, თუ ამის შნო ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ვისურვებდი პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებას.

სამართალი

№49 27 დეკემბერი 2023 წ

იანვარში ლაშა შუშანაშვილისა და ტარიელ ონიანის პირისპირ შეხვედრა იგეგმება

ექსკლუზიური ინფორმაციები „ქურდული სამყაროდან“

ბათო ჯაფარიძე

ახალი წელი ყველასთვის ახალი წელია, მათ შორის, კრიმინალური სამყაროსთვის. სხვათა შორის, არაერთხელ ყოფილა, რომ საშიში დამნაშავეები, რომლებსაც წლების განმავლობაში ეძებდნენ, სწორედ ახალ წელს დაუკავებიათ, რადგან ამ დღეს გული ყველას სახლისკენ მიუწევს და ცდილობს, ოჯახის წევრებთან გაატაროს. ახალ წელს ხშირად ემთხვევა პატიმრების შეწყალება, მეტიც, „უდო“-ს კომისიაც კი ამ დღეს ამთხვევს პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლებას...

ახალ წელს ახლობლებისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში შეხვდება ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდი“ ლაშა შუშანაშვილი. ის საბერძნეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მოულოდნელად გაათავისუფლეს. მოულოდნელად, ალბათ, უფრო კრიმინალური სამყაროსთვის, თორემ, თავად „ლაშა ბალშოის“ ადვოკატები მისი დაკავების პირველივე დღიდან ცდილობდნენ დახსნას. სასამართლომ მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, საიდანაც შუშანაშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 6 წელი გაატარა. როგორც გვეუბნებიან, ეს იყო მისი შეგნებული ნაბიჯი და ის თავად „დაეჭერინა“ სწორედ ბერძენ სამართალდამცავებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან დიდი იყო იმის შანსი, რომ შუშანაშვილი საფრანგეთის პოლიციას დაეკავებინა.

„ძმებმა, კახა და ლაშა შუშანაშვილებმა საფრთხე სწორედ მაშინ იგრძნეს, როცა მათი დაკავება მოხდა. მათ ზუსტად იცოდნენ, რომ საფრანგეთის პოლიციას ძმებზე ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მათ ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. საბოლოო ჯამში, ლაშამ მოახერხა და ის საბერძნეთის პოლიციამ დააკავა, კახა კი, სამწუხროდ, ფრანგებს ჩაუვარდა ხელში, მან უბრალოდ ქვეყნის დატოვება ვეღარ მოახერხა. შედეგად, კახა შუშანაშვილს ისე მოექცნენ, როგორც ტერორისტს, რადგან ფრანგებმა ჩათვალეს, რომ ამ დონისა და გავლენის კრიმინალი მანამდე არასდროს ჰყავდათ დაკავებული. მეტიც, მას ისე ექცევიან, თითქოს მართლა ტერორისტი იყოს, ამყოფებენ ცალკე საკანში, არ აძლევენ სრულ სამედიცინო დახმარებას და მისი ყოფა წამებასთან არის გაიგივებული, მაგრამ ამას არავინ არ იმჩნევს – არც საქართველოს ხელისუფლება, არც საფრანგეთის და არც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ორგანიზაცია. კახა შუშანაშვილი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და ეს იცის ყველამ, აბსოლუტურად ყველამ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს“, – გვეუბნება საბერძნეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელიც ძმებ შუშანაშვილებს კარგად იცნობს.

რას მოუტანს კრიმინალურ სამყაროს ლაშა შუშანაშვილის გათავისუფლება? პირველ რიგში, იმას,რომ მის გვერდით რუსთაველი და თბილისელი „კანონიერი ქურდები“ გაერთიანდებიან, რაც ძალიან არ მოეწონება ქუთაისურ კლანს და მათ ლიდერს, ტარიელ ონიანს. ზოგადად, მას შემდეგ, რაც ონიანი თავისუფლებაზე გამოვიდა, აშკარად დასუსტდა ის დაჯგუფება, რომელიც ზახარ კალაშოვისა და ლაშა შუშანაშვილის გვერდით მოიაზრებოდა. მართალია, ასე თუ ისე, კალაშოვი ცდილობდა, თავისი დაჯგუფება ციხიდან ეკონტროლებინა, მაგრამ ერთია ციხეში მყოფი კაცის სატელეფონო ზარები და მეორე – თავისუფლებაზე მყოფი ტარიელ ონიანის მოქმედებები. ჰოდა, ახლა წონასწორობა სწორედ შუშანაშვილის თავისუფლებამ უნდა აღადგინოს. ჩვენი ინფორმაციით, თავისუფლებაზე მყოფ ლაშას მისი უახლოესი მეგობარი კალაშოვი უკვე ესაუბრა და საუბრის თემა ამინდის პროგნოზი რომ არ იქნებოდა, ცხადია.

ის, რასაც ახლა დავწერთ, შესაძლოა ძალიან, ძალიან ბევრს არ მოეწონოს, მაგრამ ეს არის მწარე რეალობა. დავიწყოთ იმით, რომ „კანონიერი ქურდების“ ფენომენი საბჭოთა გადმონაშთია, საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა და მათ გავლენა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეზე ჰქონდათ. იყო ქცევის სხვა წესები და ქურდები თითზე დასათვლელები იყვნენ. მერე, 90-იანებში, ზოგმა ფულით მიიღო სტატუსი, ზოგმა – ნაცნობობით და ნათესაობით და ძველი „კანონიერი ქურდები“ მათ „აპელსინებს“ ეძახდნენ. სწორედ ამ „აპელსინებმა“ შემოიტანეს და დაამკვიდრეს ახალი წესები. მათ არ „უტყდებოდათ“, რომ ჰქონოდათ ბიზნესი, ფულს შოულობდნენ ნებისმიერი მიმართულებით, იქნებოდა ეს აზარტული თამაშების ბიზნესის კონტროლი, პროსტიტუციის კონტროლი, თუ ნარკოტიკების გასაღების „დაკრიშვა“. შედეგად, „კანონიერი ქურდი“ აღარ ასოცირდებოდა ღირსებასთან, სიმართლესთან და ნელ-ნელა ისინი დაემსგავსნენ იმ მაფიოზებს, რომლებიც ევროპასა და ამერიკაში მრავლად იყვნენ. ამის მიუხედავად, აბსოლუტურად ყველა „კანონიერი ქურდი“, პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის შენარჩუნებას ცდილობდა და ეს გასაგებიცაა – მის საზღვრებს გარეთ, ყოფილი საბჭოეთის მოქალაქეები თუ აღიარებენ ქურდად, თორემ დანარჩენი სამყაროსთვის ისინი რიგითი კრიმინალები, ან კრიმინალური დაჯგუფებების ლდიერები არიან, ზუსტად ისეთები, როგორებიც მანამდეც მრავლად იყვნენ ევროპაში და მომავალშიც მრავლად იქნებიან. ამასთან ერთად, ყველა გავლენიანი „კანონიერი ქურდი“ უკვე თავად აწესებს კანონებს, ისინი ზად არიან, ტელეკამერების წინ უარყონ ტიტული, თქვან, რომ ტერმინს – „კანონიერი ქურდი“ ვერ იგებენ და ამ ტიტულთან არანაირი კავშირი აქვთ. მერე, როცა ამის შესახებ ჰკითხავენ, თავს იმართლებენ, მაშინ ასე სჭირდებოდა „ქურდულსო“ და საკმარისია, რომელიმე ახალბედა ქურდმა იგივე გააკეთოს, მაშინვე ტიტულის გარეშე დარჩება. ძველი ტრადიციებით, ერთი ხელის თითზე ჩამოსათვლელი ქურდები თუ ცხოვრობენ და მოქმედებენ, თუმცა ისინიც ნელ-ნელა, იძულებული ხდებიან, ფეხი აუწყონ თანამედროვე ცხოვრების წესს და ბევრ რამეზე უარის თქმა თავის გადარჩენისთვის უწევთ.

იგივე, ლაშა შუშანაშვილი ერთ-ერთია იმ ძველთაგან, ვინც ტრადიციებს მკაცრად იცავს, მაგრამ ახლებისაც „ესმის“ და ისიც კარგად იცის, მის ერთ სიტყვას, როგორი გავლენა აქვს კრიმინალურ სამყაროში. ციხეში ყოფნის შემდეგ, ახლა სწორედ მისი გადასაწყვეტია, „კანონიერი ქურდები“ დაზავდებიან თუ ომი გაგრძელდება. ჰო, მისი, რადგან შუშანაშვილს თავისუფლად შეუძლია ხელის ერთი აქნევით ან დაქნევით, როგორც ომის დაწყება, ისე მშვიდობის ჩამოგდება. იმის მიუხედავად, რომ ტარიელ ონიანი არანაკლებ გავლენიანია, მას აუცილებლად მოუწევს, შუშანაშვილის მოსაზრეები გაითვალისწინოს და ონიანმა ისიც კარგად იცის, რომ ლაშას ზურგს შაქრო კალაშოვი უმაგრებს, რომელსაც გავლენა არა მარტო თბილისელ ქურდებზე, არამედ, რუს და უკრაინელ „კოლეგებზეც“ აქვს.

ვარაუდობენ, რომ უკვე მომავალი წლის იანვარში, ან დიდი „სხოდკა“ გაიმართება, რომელსაც შუშანაშვილი და ონიანიც დაესწრებიან, ან კრიმინალური სამყაროს ეს ორი „გენერალი“ ერთმანეთს პირისპირ შეხვდება და გავლენის სფეროების გადანაწილებაზე ისაუბრებენ. ასეა თუ ისე, ევროპაში მყოფი ქართველი კრიმინალები არ მალავენ, რომ მოვლენები საინტერესოდ უნდა განვითარდეს და დაძაბულობა, როგორც ერთ, ისე – მეორე ბანაკში, პიკს აღწევს. ისიც სათქმელია, რომ შუშანაშვილს საკუთარი თავისა და გავლენების გარდა, ძმის, კახა შუშანაშვილის ბედიც საფიქრალი აქვს და ის არც ადამიანურ და არც ფინანსურ რესურსს არ დაიშურებს იმისთვის, რომ როგორმე კახა ფრანგული პოლიციის კლანჭებიდან დაიხსნას.

ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, ამიტომ ამბობენ, რომ ქურდული სამყაროდან ონიანის, შუშანაშვილისა და კალაშოვის წასვლის შემდეგ (უკვდავი არავინაა და თუნდაც ეს ნახევარი საუკუნის შემდეგ მოხდეს), ცნება „კანონიერი ქურდი“ ფასსაც დაკარგავს და წონასაც. სწორედ ამ სამ ადამიანზე დგას დღეს ეს ყველაფერი. ამასთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილი სამეულის ოჯახის წევრებიც აპროტესტებენ, რომ მათ, როგორც ე.წ. „კანონიერი ქურდების“ შვილებად იცნობენ და ცდილობენ, როგორმე, მამები კრიმინალურ სამყაროს დააშორონ, მაგრამ როცა 60 წელს ხარ გადაცილებული და მთელი ცხოვრება ერთსა და იმავე რამეს აკეთებ, ძნელია, ყველაფერზე ხელი აიქნიო თუ ჩაიქნიო და გვერდზე გადგე. არ შეუძლიათ ამ ადამიანებს სხვანაირად, არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ასე იცხოვრეს, იდეის გამო იყვნენ იქ, სადაც არიან და ახლა, სამივეს სურს, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა „არსენა მარაბდელში“, „კაცურად ნათრევი სიცოცხლე, საფლავშიც კაცურად ჩაათრიონ“.

ისე, ზემოთ იდეა ვახსენეთ და დღევანდელი ქართული რეალობაც მწარეა – პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახური ძალადობისთვის იხდის სასჯელს, მეორე ადგილზე კი, ე.წ. „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მხილებული პირები არიან, რომლებსაც საუკეთესო შემთხვევაში, 7-წლიაანი სასჯელი აქვთ მისჯილი. კვირა კი არა, ლამის, დღე არ გავა, ამ ბრალდებით ძალოვნებმა ვინმე არ დააკაონ და სამწუხაროდ, ეჭვმიტანილთა შორის, აბოსლუტური უმრავლესობა ახალგაზრდა, 20-22 წლის ბიჭები არიან, რომლებსაც მთავარ მიზნად ე.წ. „კანონიერი ქურდობა“ დაუსახავთ და მიზნისკენ ჯიუტად, თუნდაც ციხის გავლით მიდიან. არადა, გარეთ 21-ე საუკუნეა და წესით, თანამედროვე ტექნოლოგიების ფონზე, მოსახლეობის 0.01% უნდა ფიქრობდეს კრიმინალურ მომავალზე, მაგრამ ეს ციფრი გაცილებით დიდია და ესეც სავარაუდოდ, ძველი გავლენების დამსახურებაა.

როგორ აღნიშნავენ ციხეში ახალ წელს

„ფეიკი“ ბაჟე, „პეჩენიის“ ნამცხვარი – რა კერძებს და რისგან ამზადებენ საახალწლოდ პატიმრები

ბათო ჯაფარიძე

ახალი წელი ყველგან ახალი წელია – რაც უნდა მოხდეს, ამ დღეს ადამიანები მაინც განსაკუთრებულად ხვდებიან. შესაძლოა, ვინმეს ახლობელი დაეღუპოს, ან უდიდესი პრობლემა ჰქონდეს, მაგრამ ახალი წლის განწყობა... თითქოს, ინსტიქტურად მოდის, მით უმეტეს, დღევანდელ დროში, ვერავის ეტყვი, მე ტრაგედია მაქვს, შენ არ იზეიმოო. ეს ადრე იყო, სოფელში ახალ წლამდე თუ ვინმე კვდებოდა, ახალი წლის ღამეს თოფს არავინ ისროდა, თორემ ახლა... ახლა შეიძლება, ერთ სახლში მიცვალებული იყოს, ახლო-მახლო სახლებიდან კი მაშხალები გაუშვან და იზეიმონ. ვიღაც იტყვის, ყველგან ასე არ ხდებაო და მართალიც იქნება – ყველგან არ ხდება, მაგრამ ბევრგან ხდება, ძალიან ბევრგან...

ახალი წელი ციხეშიც დგება და რა თქმა უნდა, პატიმრებიც ხვდებიან. მეტიც, ისინი ამ დღისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან და ყოველი ახალი წელი ხომ იმედებით არის აღსავსე – პატიმარს ყველაზე მეტად იმედი სჭირდება. ვიღაცისთვის (და ეს ვიღაც ასეულობით პატიმარია), 2024 სასჯელის მოხდის ბოლო წელი იქნება და მათ მისი დადგომა განსაკუთრებით გაუხარდებათ, ვიღაც ბოლოს წინა წლის ათვლას დაიწყებს და არც ესაა პატარა სიხარული – ამაყად იტყვის, კიდევ ერთ ახალ წელს შევხვდები გისოსებს მიღმაო და...

იმის გათვალისწინებით, რომ ახლა ხელისუფლების სათავეში აღარ არის ნაციონალური მოძრაობა, ახალი წელი გლდანის ციხეშიც ადამიანური იქნება. ჰო, ადამიანური და თუ რას ვგულისხმობთ, ახლავე გეტყვით. უფრო სწორედ, გიამბობთ, როგორი იყო ახალი წელი „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში, გლდანში და ზონაზე. გლდანის ციხის ახალ წელზე მოყოლა ძალიან მარტივია – 31 დეკემბერს, დილით, რეჟიმის წარმომადგენელი დაივლიდა და ყველა კამერას მკაცრად გააფრთხილებდა, რომ ჩვეულებისამებრ, ღამის 10 საათზე ჩაქვრებოდა შუქი, ამ დროს პატიმრები საწოლში უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო მაშინ, როცა ახალი წელი დადგებოდა, არ უნდა ამდგარიყვნენ, არ უნდა მისულიყვნენ ფანჯრებთან, ფოიერვერკები არ უნდა დაენახათ, არ უნდა აენთოთ შუქი და არ უნდა დაებრახუნებინათ მეზობელი საკნის კედელზე. ნებისმიერი ამ პუნქტის დარღვევა უსასტიკესად ისჯებოდა – იმ საკანში ნიღბიანი სპეცრაზმი შედიოდა, რომლის წევრები უკვე გვარიანი ნასვამები იყვნენ იმ დროისთვის და პატიმრებს სასტიკად სცემდნენ. უფრო ცუდი ის გახლდათ, რომ თუ რომელიმე საკანში მაინც მოისურვებდნენ გვერდით მყოფებისთვის ახალი წელი მიელოცათ და კედელზე დაუბრახუნებდნენ, ზემდეგები სცემდნენ ორივე საკნის პატიმრებს. ამიტომ, პატიმართა აბსოლუტურ უმრავლესობას ახალი წლის ღამის ეშინოდა და ეშინოდა თუნდაც იმის გამო, რომ არავინ იცოდა, რას ფიქრობდნენ გვერდით საკანში, დააბრახუნებდა თუ არა რომელიმე თავგაცხელებული და ერთი დაბრახუნების გამო, გაილახებოდა თუ არა 20-მდე პატიმარი. ეს იყო ის რეალობა, რომელშიც წლების განმავლობაში, ათასობით პატიმარი ცხოვრობდა და მას, ვინც ახალ წელს გლდანის ციხეშია შეხვედრილი, ეს ჯოჯოხეთი არასოდეს დაავიწყდება.

რაც შეეხება ნახევრად ღია ტიპის სასჯელაღსრულებით დაწესებულებას ანუ ზონას. იქ საახალწლო მზადება ერთი თვით ადრე იწყება. პატიმრები მეგობრებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს ურეკავენ და სთხოვენ, რომ ბარათზე თანხა დაურიცხონ, რადგან წელიწადში ერთხელ მაინც, თავი ისე იგრძნონ, თითქოს, თავისუფლებაზე არიან. ციხის მაღაზიაში, ერთი შეხედვით, ბევრი არაფრის ყიდვა შეიძლება, მაგრამ მაინც არსებობს ინგრედიენტები, რომლითაც შესაძლებელია საახალწლო კერძები გააკეთო. მაგალითად, ნამცხვარი, „ბაჟე“... აი, გოზინაყისთვის საჭირო ინგრედიენტები არ მოიძებნება. და მაინც, რა არის საახალწლო ნამცხვრის დასამზადებლად საჭირო? ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „პეჩენია“, შესქელებული რძე, ნაღების კარაქი და ერთჯერადი საპარსის მჭრელი პირი. ჰო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი „ბრიტვა“ შეიძლება ითქვას, ნამცხვრის დასამზადებლად ყველაზე საჭირო ნივთია.

იღებთ „ბრიტვას“ და „პეჩენიებში“ აკეთებთ ღრმულებს ისე, რომ პეჩენიას საერთო ჯამში ჯებირები ჰქონდეს და შიგნით ჩასხმული სითხე გვერდებიდან არ გადმოვიდეს. შემდეგ ერთმანეთში არეულ-აზელილ შესქელებულ რძესა და კარაქს ვასხამთ ამ „პეჩენიებში“ და ერთმანეთზე ვადებთ, მართკუთხედ ფორმას ვაძლევთ და ასე ვტოვებთ 24 საათი იმიტომ, რომ „კრემი“ გამხმარ „პეჩენიას“ გაუჯდეს და დაარბილოს. მერწმუნეთ, არათუ იმ პირობებში, ისედაც უგემრიელესია იმიტომ, რომ „პეჩენიას“ თავისი ქიმიური დანამატები აქვს, ბავშვებს რომ მოეწონოთ, ვანილის გემოც დაკრავს, რასაც კარაქი და შესქელებული რძე უფრო ამძაფრებს და მშვენიერი საახალწლო ნუგბარია.

რაც შეეხება ბაჟეს. რა თქმა უნდა, ნიგოზზე საუბარი ზედმეტია. იმის გამო, რომ მზესუმზირას ბევრი ნაგავი აქვს და პატიმრები მას ყველგან ჭამენ, ციხის მაღაზიებში უბრალოდ არ იყიდება, რადგან შემდეგ „დამლაგებლები“ ძალიან ბევრს შრომობენ (დამლაგებლები ბრჭყალებში რატომ გვაქვს, ყოფილი პატიმრები მიხვდებიან). შესაბამისად, ნამდვილი ბაჟეს მომზადებაზე ოცნებაც კი ზედმეტია. ამიტომ, მაიონეზს ხსნიან ცივ წყალში, აზავებენ სვანური მარილით (რომელიც ციხის მაღაზიაში იყოდება), ყრიან წვრილად დაჭრილ ხახვს და... მთავარი ინგრედიენტი მოხარშული კვერცხი და პაშტეტია. კვერცხს მოხარშავენ, ყავის თუნუქის ქილისგან გაკეთებულ ე.წ. დანით ფრთხილად, ოვალურად ჭრიან ცილას, ისე რომ ყვითელი გული არ დაზიანდეს, ცილის ღრმულებს პაშტეტით ავსებენ და ფრთხილად დებენ მაიონეზში. კვერცხის მოხარშული გულებიც მთელ-მთელად იმავე სითხეში იდება. ეს ყველაფერი უნდა გაჩერდეს 24 საათი, რათა მაიონეზმა, ხახვმა და სვანურმა მარილმა, პაშტეტისა და კვერცხის გულის გემოებით გაჯერება შეძლოს და გვერწმუნეთ, ძალიან გემრიელი გამოდის. უფრო სწორედ, გისოსებს მიღმა, ეს ნამდვილი დელიკატესია. ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს შემწვარი ქათმითაც ანებივრებს და ახალ წელს, ყველაზე დიდი მოთხოვნა ამ პროდუქტზეა. სხვათა შორის, იგივე შეკმაზულ და წყალში გახსნილ მაიონეზში, შემწვარი ქათმის დაჭრილი ნაჭრების ჩადებაც შეიძლება, რაც საცივის შეგრძნებას იწვევს.

ახალი წლის ღამეს (ისევე, როგორც ყველა სხვა ღამეს), საკნების კარები დაკეტილია და პატიმრებს ერთმანეთისთვის ახალი წლის მილოცვა მხოლოდ გადაძახილებით, ან კედელზე დაბრახუნებით შეუძლიათ. აი, დილით, როცა ზონა იღება, პატიმრები ერთმანეთთან საკნებში შედიან და ახალ წელს ულოცავენ. ძირითადი სასმელი ჩაი და ყავაა, რა თქმა უნდა, ალკოჰოლს იქ არავინ შეიტანს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც რისკავენ და „ბრაგას“ აკეთებენ. რატომ არის „ბრაგას“ დამზადება რისკი? იმიტომ, რომ ფაქტზე გამოჭერის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე იღძვრება და თუ ადრე პატიმარს უბრალოდ საყვედურს ეუბნებოდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ვადაზე ადრე გასვლის შესაძლებლობა ესპობოდა, ახლა სასჯელს უმატებენ (ძირითადად, ერთ წელს) და როგორი საქმეა, ერთი დღის დათრობისთვის (თან რა სასმელით), ციხეში ყოფნა ერთი წლით გაიხანგრძლივო. ამიტომ, ძალიან იშვიათად თუ რისკავს ვინმე ამის გაკეთებას და ძირითადად ისინი, რომლებსაც 17-20 წელი აქვთ მისჯილი, რადგან კარგად იციან, თუ მანამდე ეშველებათ, ისედაც ეშველებათ, თუ არა და, 17-20 წლის შემდეგ რა იქნება, ნაკლებად ფიქრობენ.

ახლ წელს, იუსტიციის სამინისტროც ცდილობს, პატიმრების ყოფა როგორმე გაახალისოს და 31 დეკემბერს, ღამით, ვახშმის „პაიოკში“ ქათმის ხორცი შედის, ოღონდ ისე კი არა, 80-ლიტრიან ქვაბში ერთ ქათამას რომ აგდებენ და ისიც მარტივ მამრავლებად იშლება, არამედ, ნამდვილი ხორცი, მშრალად მოხარშული ქათმის ერთი ნაჭერი – 70-80 გრამი, მაგრამ ესეც დიდი ფუფუნებაა, რადგან 3-4 კაცი ამ ნაჭრებს გააერთიანებს, წვრილად დაჭრის, ხახვს, შავ პილპილს, მაიონეზს უზამს და ქათმის სალათიც მზად არის.

ასეა თუ ისე, გისოსებს მიღმა ყველა დღესასწაული მაინც სევდიანია. ყველამ იცის, რომ იმ დროს, სწორედ იმ დროს, როცა ისინი ახალ წელს ციხეში ხვდებიან, მათი ოჯახის წევრები მაგიდის გარშემო სხედან და სწორედ იმას ნატრობენ, რომ ციხეში მყოფი პირი თავისუფლებაზე იყოს, რომ ახალ წელს მათთან ერთად ხვდებოდეს და ეს არ არის მხოლოდ სურვილი – ეს ცხოვრებაა. ესაა მთელი ცხოვრება, რადგან გისოსებს მიღმა გატარებული ნებისმიერი დღე, უბრალოდ, დაკარგულია, წაშლილია ისედაც ხანმოკლე ცხოვრებიდან და ამიტომაა, თითოეულმა ადამიანმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ ციხეში ყოფნით, არა მარტო თავს ვნებს, არამედ, ოჯახის წევრებს, მშობლებს, შვილებს, მეუღლეს, ახლობლებს... შემდეგ, ციხიდან გამოსული ადამიანისთვის, ყველაფერი მარტივი არ არის, ყველაფერი თითქოს განულებულია და ახლიდან უნდა დაიწყოს. ამის გაკეთებას კი, ძალიან, ძალიაან ბევრი, უბრალოდ ვეღარ ახერხებს.

ბათო ჯაფარიძე

წლის ბოლოს ყველა უწყება აფასებს განვლილ პერიოდს და სტატისტიკას დებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წლიური სტატისტიკა არ გამოუქვეყნებია, მაგრამ ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ ვახტანგ გომელაურის უწყებისთვის მსუბუქი წელი არ ყოფილა. პატრულის თანამშრომლები არ მალავენ, რომ 24-საათიან რეჟიმში უწევდათ მუშაობა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გომელაურის ხელქვეითებზე გადაიარა მარტის აქციებმაც, საიდანაც ისინი ღირსებით გამოვიდნენ და ვერავინ იტყვის, რომ უფლებამოსილებას გადააჭარბეს. უფრო პირიქით – კი არ გადააჭარბეს, ლამის სიცოცხლე გაწირეს და ცოცხლად დაწვეს რამდენიმე მათგანი.

2023 წლის ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ფაქტები



მკვლელობა, ოჯახური ძალადობა, ნარკოდანაშაული – არაოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა

როცა 2023 წლის გახმაურებულ დანაშაულზებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, მკვლელობები უნდა გავიხსენოთ. პირველ ცხრა თვეში, 52 მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა (შსს-მს 47 გახსნა), მაგრამ ბოლო 3 თვეში, სამწუხაროდ, კიდევ არაერთი ადამიანი მოკლეს და რიცხვი 6 ათეულს გადააჭარბებს. როგორც უნდა ვატრიალოთ, ისე გამოდის, რომ საქართველოში ყოველ მეექვსე დღეს, ერთ ადამიანს იმეტებენ სასიკვდილოდ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ 52 მკვლელობაშ, 5 შემთხვევა დედებზე მოდის, რომლებმაც ახალშობილები განზრახ მოკლეს ანუ დაბადებული, ჯანმრთელი ბავშვები დახოცეს. ამას გარდა, პირველ ცხრა თვეში, მკვლელობის მცდელობის... 80 ფაქტი დაფიქსირდა ანუ ვიღაცას ვიღაქცის მოკვლა სურდა და არ გამოუვიდა! საქართველოსთვის ეს ძალიან, ძალიან დიდი ციფრია და ვაი, რომ არცთუ იშვიათად, ოჯახის წევრები იმატებენ ერთმანეთს. ახლა, იმის თქმა, რომ ყველაფერი სოციალური მდგომარეობის და სიდუხჭირის ბრალია, არ შეიძლება და ახლავე აგიხსნით, რატომ:

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობას ისე არასოდეს ულხინდა, დაბეჯითებით რომ გვეთქვა, ერი და ბერი მაძღარია, არავის არაფერი უჭირსო, მაგრამ ოჯახის წევრებზე ხელის აღმართვა ბოლო წლების „მოდაა“ და სამწუხაროდ, ეს არავის უკვირს.

2023 წელს, სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი კრიმინალური შემთხვევა ოჯახური ძალადობის მუხლით დაფიქსირდა. არც ძალოვნები მალავენ, რომ გამოძახებების უმრავლესობა სწორედ ოჯახურ ძალადობაზე მოდის. ისინი ვალდებულნი არიან, რეაგირება მოახდინონ და მოსამართლეებიც თავს იზღვევენ, არ რისკავენ და მართალია, მცირე, მაგრამ მაინც რეალურ სასჯელს აძლევენ მოძალადეებს.

მეორე ადგილზე „ქურდული ტრადიციების“ მიმდევართა დაკავებაა. საზღვარგარეთ მყოფი „კანონიერი ქურდები“ ყველაფერს აკეთებენ, რომ აქ მყოფი ახალგაზრდები საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციონ, მსხვილი თუ მცირე ბიზნესისთვის ფულის გამოძალვა აიძულონ და ათიდან თუნდაც ერთმა რომ გაამართლოს, ისინი თანხას იღებენ, რისკით კი, არაფერს რისკავენ – ქართველი სამართალდამცავები ევროპაში ვერ წვდებიან, აქ კი, დაკავებული ახალგაზრდების ადგილზე, ახლები სოკოებივით იზრდებიან.

ისიც სათქმელია, რომ ბოლო 3-4 თვის განმავლობაში, ძალიან გააქტიურდნენ აზერბაიჯანელი „კანონიეერი ქურდები“ და აზერბაიჯანელი საქმოსნების შევიწროვება დაიწყეს. მეტიც, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა გაჯიუტებულ ბიზნესმენს შესაშინებლად ეზოში ასაფეთქებელი შეუგდეს და მართალია, ყველა შემთხვევაში საქმე უწყინარ, საახალწლო „ხლაპუშკასთან“ გვქონდა, მაგრამ ამ უწყინარმა ასაფეთქებელმაც დასახულ მიზანს მიაღწია. ისიც გემახსოვრებათ, მარნეულის ცენტრში მამაკაცი რომ ჩაცხრილეს იმიტომ, რომ ფული არ შეიწერა და ეს ნათელი მაგალითი იყო სხვებისთვის, მაგრამ მშვიდ ცხოვრებას მიჩვეული ბიზნესმენები მაინც ჯიუტობენ, დახმარებისთვის ძირითადად სამართალდამცავებს მიმართავენ, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც უხმოდ იხდის ხარკს და ძალიან, ძალიან ცუდს აკეთებს. სწორედ ამ ერთეულების მიერ გაღებული თანხები აძლევს იმედს მათ, ვინც ფულის შოვნის იოლ გზაზეა გადასული და ამიტომ მარტივი ლოგიკით – თუ იხდის ერთი, რატომ არ უნდა გადაიხადონ სხვებმაც?! ამიტომ არის, ურჩ ბიზნესმენებს მოკვლით და ოჯახის წევრების დახოცვით რომ ემუქრებიან და შსს-ს თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურად ყველა შემთხვევის დროს, როცა მათ მიმართეს, მოახერხეს და ბიზნესმენიც გადაარჩინეს, მისი ოჯახის წევრებიც და რაც მთავარია, დამნაშავეებიც დააკავეს და პასუხისგებაში მისცეს.

სამწუხაროდ, ცალკე საუბრის თემაა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება. 2023 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მხოლოდ ფონიჭალაში რამდენიმე სპეცოპერაცია ჩაატარეს და ათეულობით ნარკოდილერი დააკავეს. „ბარიგების“ უმრავლესობის წინააღმდეგ, ძალოვნებს უტყუარი მტკიცებულებები ჰქონდათ, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. გარდა იმისა, რომ ფონიჭალა თითქოს აუღებელ ციხესიმაგრედ და საქართველოს კოლუმბიად იქცა, საზღვრების გახსნამ და არაერთ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმმა ის მოიტანა, რომ დაკავებულ ნარკოდილერთა დიდი ნაწილი უკვე არა საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეა. მათ შორის, აზიელები ჭარბობენ, იმ სახელმწიფოების წარმომადგენლები, სადაც ნარკოტიკის გაყიდვა სიკვდილით ისჯება, საქართველოში კი, სიკვდილით დასჯა არ არის. ნარკოლიბერალიზაციის შედეგები ყველაზე მწარედ სწორედ წელს ვიგემეთ – მომხმარებელთა ასაკმა კატასტროფულად დაიწია და რაც ყველაზე სამწუხაროა, მათ შორის ძალიან, ძალიან ბევრი გოგონაა. ამასთან ერთად, სამართალდამცავებიც მიეჩვივნენ, რომ დაკავებულ მომხმარებლებს მოსამართლეები ან პირდაპირ დარბაზიდანუშვებდნენ, ან წინასწარი დაკავების იზოლატორიდან, ხელწერილითა და ადმინისტრაციული ჯარიმით. ასეთმა მიდგომამ მომხმარებლებიც გაათამამა და „ბარიგებიც“. ჰო, მსუბუქი ნარკოტიკების გამყიდველები, რომლებმაც იოლი გამოსავალი და კანონში „ხვრელი“ იპოვეს.

მარტივად რომ აგიხსნათ, კანონმდებლობით არ ისჯება, თუ პირს 4 გრამამდე მარიხუანა აქვს ანუ ითვლება, რომ ეს ოდენობა პირადი მოხმარებისთვის არის. 4 გრამით კი შესაძლებელია შვიდი ღერი სიგარეტის „შეკეთება“ და ნარკოდილერები ღამის კლუბებთან სწორედ ამ შვიდი ღერით მიდიან, ხელს დაიცლიან, შემდეგ „საწყობს“ აკითხავენ, მერე უკან ბრუნდებიან და ასე, თითო ნარკოდილერი ღამის განმავლობაში, 20-მდე რეისს აკეთებს და დროში რომ ეტეოდნენ, უფრო მეტსაც გააკეთებდნენ. მსუბუქი ნარკოტიკი იყიდება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, რაც შეეხება უფრო მძიმე ნარკოტიკს... სამწუცაროდ, ინტერნეტ-აპლიკაციებისსაშუალეით, არც მათი შეძენაა პრობლემატური, მთავარია ფული გქონდეთ, თორემ აგერ, 1 გრამი მეტადონი ლამის ორი ათას ლარამდე ფასობს. რაც ყველაზე საინტერესოა, მძიმე ნარკოტიკების გამსაღებლები, ძირითადად საზღვარგარეთ ცხოვრობენ და იქიდან აკონტროლებენ სიტუაციას, აქ პოულობენ ახალგაზრდებს, რომლებიც მზად არიან, ნარკოტიკები გრამ-გრამობით, სხვადასხვა ლოკაციაზე დადონ, შემდეგ ამ ლოკაციის ფოტოები და ზუსტი მონიშვნა დილერს გადაუგდონ და სანაცვლოდ 50 ლარი მიიღონ ჰო, 50 ლარი და თავად განსაჯეთ, რაოდენ დიდია ახალგაზრდებისთვის ცდუნება, რომ ასე მოიქცნენ – დღეში 10 ლოკაცია რომ მონიშნონ, 500 ლარი გამოდის და... რა თქმა უნდა, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას სამართალდამცავები მარტივად აკავებენ, ვიდეოთვალებისა და გზებზე დაყენებული კამერების მიხედვით, ახალგაზრდების საეჭვო ქცევას ძალოვნები სწავლობენ, შემდეგ მათ უთვალთვალებენ და პირდაპირ ფაქტზე აკავებენ.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მიმდინარე წლის საწყის 9 თვეში, სქესობრივი დანაშაულის 412 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან 272-ია გახსნილი და ამ 412შემთხვევიდან, 154 გაუპატიურების ფაქტი იყო. ჰო, დღევანდელ რეალობაში, 154 ადამიანს თავში აზრად გაუპატიურება მოუვიდა. 16 წლის მიუღწეველთან სექსუალური კავშირის დამყარების ბრალდებით 86 პირი დააკავეს, მაგრამ ამათგან აბსოლუტური უმრავლესობა ცოლად მოყვანის მიზნით იყო და კარგია, რომ პოლიცია ამასაც ებრძვის. როგორმე უნდა შეიგნოს ხალხმა, რომ არასრულწლოვანთან ოჯახის შექმნა დასექსუალური ცხოვრება მისაღები არ არის და 16 წელს მიუღწეველი გოგო თუ ბიჭი, ბავშვია, მოზარდია და არაფერი გაეგება ოჯახური ცხოვრების.

საწყის 9 თვეში, საქართველოში 3 ათასზე მეტი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა და დაშავებულებზე რომ არაფერი ვთქვათ, ოფიციალური მონაცემებით, 207 ადამიანია გარდაცვლილი. ისე გამოდის, რომ დღეში ლამის ერთ ადამიანს ვკარგავთ ავტოსაგზაო შემთვევების დროს და რატომღაც გვგონია, რომ ჯარიმების ოდენობა კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ მართვის მოწმობებზე უნდა გამკაცრდეს კონტროლი. უფრო კონკრეტულად კი, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა მართვის მოწლობის სამუდამო ჩამორთმევით უნდა დაისაჯოს და თუ ასეთი პირი საჭესთან კიდევ დაჯდება და დააკავებენ, მის წინააღმდეგ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრას და რეალური სასჯელი მისცეს. აი, მერე ძალიან, ძალიან ბევრი დაფიქრდება, ღორს თუ არა ნასვამ ისაჭესთან დაჯდომა და როცა ერთს, ორს, ათს და ასს დასჯიან, შედეგი აუცილებლად მოვა. წლის განმავლობაშ, სიჩქარის ორჯერ გადაჭარბებაზეც მართვის მოწმობის ორი წლით ჩამორთმევა უნდა დაწესდეს და მერე აღარ იქროლებენ და არ შეუქმნიან საფრთხეს როგორც საკუთარ თავს, ისე სხვებს.

დასასრულ – სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლს ვესაუბრე და წუწუნებდა, ახალ წელს მიწევს მორიგეობა, შარშანწინ ვიყავი და ლამის გავგიჟდი, იმდენი ბავშვი მივიყვანეთ საავადმყოფოში თითების ტრავმით, უხარისხო პირო-ტექნიკა ბავშვებს ხელში უფეთქდებათ, ან გადაგდებას ვერ ასწრებენ და ცალკე შარია, როცა პირო-ტექნიკის გამოყენებას მთვრალები ცდილობენო.

ბედნიერი შობა-ახალი წელი გქონოდეს, საქართველო!

სააპელაციო სასამართლომ, ავტობუსში მეუღლის მკვლელობისთვის ბრალდებულ როინ მებონიასთვის 20-წლიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ავტობუსში მეუღლის მკვლელობისთვის ბრალდებულ როინ მებონიას 20-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

მეორე ინსტანციის სასამართლომ სასჯელის უვადო თავისუფლების აღკვეთით შეცვლის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. როგორც მსჯავრდებულის ადვოკატმა, სულხან კომახიძემ განაცხადა, დაცვის მხარე ყველა სამართლებრივ გზას გამოიყენებს.

„ძალაში დარჩა იგივე გადაწყვეტილება, რაც პირველ ინსტანციას ჰქონდა. პროკურატურა ითხოვდა სასჯელის უვადო თავისუფლების აღკვეთით შეცვლას – მოსამართლემ არ დაუნიშნა უვადო და ძალაში დატოვა 20 წელი. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ადამიანი არ იყო ჯანმრთელი. ქმედების განხორციელების დროს შეზღუდული შერაცხადობა ჰქონდაო. მგონია, ვერ გაბედეს იმ დიაგნოზის დაწერა, რაც მას ნამდვილად ეკუთვნოდა.

განაჩენს ვნახავთ და გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ გზას, რაც შესაძლოა, გამოყენებული იქნას“, – განაცხადა სულხან კომახიძემ.

შეგახსენებთ, თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ცოლის მკვლელობაში ბრალდებული როინ მებონია დამნაშავედ მიმდინარე წლის 17 თებერვალს სცნო და სასჯელის სახედ, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე რომეო ტყეშელაშვილმა მოიღო. მოსამართლის განმარტებით, მსჯავრდებული მამაკაცი გამოჯანმრთელებამდე სასჯელს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მოიხდის.

შემთხვევა თბილისში, 2022 წლის 21 მაისს მოხდა. შსს-ს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ გურამიშვილის გამზირზე მოძრავ საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მამაკაცმა მეუღლეს არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ცივი იარაღით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მრავლობითი დაზიანებები მიაყენა, შედეგად ქალი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილის მიმდებარედ იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

საგამოძიებო სამსახურმა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხილა

საგამოძიებო სამსახურმა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხილა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ქვემო ქართლში არსებული ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრის, რომელიც ჟOVID 19-ის დადასტურებული შემთხვევების სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებას წარმოადგენდა, დირექტორმა და ფარმაცევტმა, ამავე საავადმყოფოში მოთავსებულ პაციენტებზე ხელოვნურად გაზარდეს გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება, რა გზითაც მოტყუებით დაეუფლნენ, ჯამში, 108 032 ლარს.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურასთან კოორდინაციით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე ორი პირი ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში მდებარე ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრი, 2021 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, წარმოადგენდა COVID 19-ის დადასტურებული შემთხვევების სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებას. აღნიშნულ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, ხსენებული დაწესებულების დირექტორმა და ფარმაცევტმა, ამავე საავადმყოფოში მოთავსებულ პაციენტებზე ხელოვნურად გაზარდეს გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება, რა გზითაც მოტყუებით დაეუფლნენ, ჯამში, 108 032 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9-წლამდე ვადით.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით“, – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2023 წლის შედეგები შეაფასა და მომავალი წლის პრიორიტეტები განსაზღვრა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, კოკა კაციტაძემ მოადგილეებთან – გიორგი კვარაცხელიასთან და ნათია სონღულაშვილთან, ასევე, საგამოძიებო დეპარტამენტის დანაყოფის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, საგამოძიებო სამსახურის მუშაობის შედეგები შეაფასა, მომავალი წლის პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრა და მათ შესასრულებლად შესაბამისი დავალებები გასცა. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, მიმდინარე წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა 2779 შეტყობინებაზე მოახდინეს რეაგირება, კონსულტაცია გაუწიეს და გაესაუბრნენ 1725 მოქალაქეს. გამოძიება 474 საქმეზე დაიწყო. მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში 401 განმცხადებელს საქმის მასალების გაცნობა შეეთავაზა, მათგან ამ უფლებით 181-მა მოქალაქემ ისარგებლა. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სამსახურის მიერ 50 ოფიციალური განცხადება გავრცელდა. სამსახურმა, ამოქმედებიდან დღემდე, დანაშაულში 169 პირი ამხილა, მათ შორის, 67 სამართალდამცავი.

„მიმდინარე წელს, ჩვენი გამომძიებლები, ოპერატიული თანამშრომლები და მრჩევლები ათასობით მოქალაქეს კონსულტაციის და მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შეხვდნენ. საგამოძიებო დანაყოფები გამჭვირვალე გამოძიებით და მაღალი სტანდარტით დაზარალებული მოქალაქეების უფლებებს ასობით სისხლის სამართლის საქმეში იცავდნენ, 169 პირი კი დანაშაულში ამხილეს. მინდა, თითოეულ თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი პასუხისმგებლობისა და თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა ვუთხრა“, – განაცხადა კოკა კაციტაძემ.

სამსახურის უფროსმა, შეხვედრაზე, 2024 წლის პრიორიტეტული მიმართულებები გამოყო და ხაზგასმით აღნიშნა სამსახურის ფუნქციური დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად ვენეციის კომისიის რეკომენდაციების განხორციელების მნიშვნელობა. ამ მიზნით, სამსახური მზადყოფნას გამოთქვამს, 18 დეკემბერს გამოქვეყნებული რეკომენდაციების შესასრულებლად, ინკლუზიური პროცესის გზით ყველა კომპეტენტურ, უფლებამოსილ უწყებასთან და დაინტერესებულ მხარესთან ითანამშრომლოს, როგორც ეს ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესასრულებლად განხორციელდა. კერძოდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პარლამენტთან ნაყოფიერი თანამშრომლობით, საკანონმდებლო გზით სამსახურს არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია მიენიჭა და მისი დამოუკიდებლობის კომპონენტი გაიზარდა. მათ შორის, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახალი გამოძიების ჩატარების უფლება მიენიჭა.

„სამსახურს, სამართალდამცავების მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციის, უკანონო დაკავების, სამსახურებრივი სიყალბისა და სხვა სამოხელეო დანაშაულების გამოძიების ფუნქცია გადაეცა.

სამსახურის უფროსს უფლებამოსილება მიენიჭა, სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების მიზნით, შესაბამის კომიტეტში მოსმენის ჩანიშვნა მოითხოვოს.

მომდევნო წლისთვის სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება სამოხელეო დანაშაულის პრევენცია იქნება. ამ მიზნით, 2022 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივითა და უწყებებს შორის გაფორმებული მემორანდუმით, სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭო შეიქმნა, რომელიც გენერალურ პროკურატურას, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურს აერთიანებს. საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასათანადო მოპყრობის დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.

შეხვედრაზე, საგამოძიებო დანაყოფისა და ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, პარლამენტისთვის წარსადგენი წლიური ანგარიშის მოსამზადებლად მითითება მიეცათ, იდენტიფიცირება მოახდინონ ყველა იმ ხარვეზის, ტენდენციისა და პრობლემური საკითხისა, რაც სამართალდამცავთა საქმიანობაში ვლინდება და გამოძიების დროულობასა და ეფექტურობას აფერხებს. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სამსახურის მიერ პარლამენტში გასაგზავნი რეკომენდაციები შემუშავდება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მომავალი წლის პრიორიტეტულ მიმართულებებად, ასევე, გამჭვირვალე და მსხვერპლთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პროექტების გაგრძელება დასახელდა“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

police.ge

რა სპორტული მოვლენებით დაგვამახსოვრდება 2023 წელი

ვინ გახდა წლის საუკეთესო სპერტსმენი მამაკაცი და ქალბატონი

ბათო ჯაფარიძე

2023 წელი ქართული სპორტისთვის გამორჩეული იყო. გამორჩეული თუნდაც იმიტომ, რომ სეზონის ბოლოს, ჟურნალისტთა შორის, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა რგებოდა წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული. თავად განსაჯეთ – აქეთ ყველაფრის მომგები და ამწევი ლაშა ტალახაძე, იქეთ – საფეხბურთო სამყაროში გრიგალივით შევარდნილი და იტალიის ჩემპიონატის მომგები ხვიჩა კვარაცხელია, ტატამზე – ყველაფრის მომგები ტატო გრიგალაშვილი, მსოფლიო რუკაზე, სანდრო ბაზაძის წყალობით გამოჩენილი ქართული ფარიკაობა და წლის საუკეთესო მოფარიკავედ დასახელებული ბაზაძე... ეს მხოლოდ კაცებში და ქალებშიც არ იყო ნაკლები საფიქრალი – ფიგურულ სრიალში, ლამის, ყველა ტურნირიდან მედლით დაბრუნებული ანასტასია გუბანოვა, ევროპული თამაშების მომგები ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი, ოლიმპიური ლიცენზიის მომგები, ლეგენდარული ნინო სალუქვაძე...

საბოლოო ჯამში, ოლიმპიურმა კომიტეტმა, წლის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად ლაშა ტალახაძე დაასახელა, საუკეთესო ქალ სპორტსმენად – ანასტასია გუბანოვა. საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ფეხბურთის ფედერაციამ ხვიჩა კვარაცხელიას რომ გადასცა, გასაკვირი არ უნდა იყოს. ისე, ხვიჩაზე ცოტა ვრცლად ვთქვათ, რადგან მან ქართველი ქომაგები, ლამის, უქმეებიდან უქმეებამდე აცხოვრა – ყველა ელოდა, რას იზამდა კონკრეტულ შეხვედრაში ქართველი შემტევი და ისიც იმედებს არ აცრუებდა. წლევანდელ სეზონში კვარაცხელია, შესაძლოა, ისე ვერ ბრწყინავს, როგორც შარშან, მაგრამ ამას თავის მიზეზი აქვს. ევროპელი ექსპერტები ამბობენ, რომ მთავარი მიზეზი კვარას ქვეცნობიერია, რომელიც მისდაუნებურად მუშაობს. თავად განსაჯეთ – სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო გოლის ავტორი, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი, „ოქროს ბურთის“ ნომინანტი... ამ დროს, მისი ჯამაგირი თვეში 100 ათასი ევროა და ეს მაშინ, როცა მისი თანაგუნდელები გაცილებით მეტს იღებენ. იგივე ვიქტორ ოსიმენმა,

ორიოდე დღის წინ, ახალი კონტრაქტი გააფორმა და წლიურად 10 მილიონ ევროს მიიღებს. კლუბის პრეზიდენტის სიძუნწე ბევრს არ მოსწონს და სწორედ ამიტომ წავიდა გასული სეზონის ბოლოს კიმ მინ ჯე, ამიტომ მიდის პიოტრ ზელენსკი მიმდინარე სეზონის ბოლოს და ამიტომ, 1 იანვარს, გუნდს ტოვებს ელიფ ელმასი. ისე, ამბობენ, ელმასი რომ წავა, მის 7-ნომრიან მაისურს კვარაცხელია მოირგებსო და ვნახოთ.

ცალკე ვთქვათ ლაშა ტალახაძეზეც. წელს მან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები კარიერაში მეშვიდედ მოიგო, 2024-ში აუცილებლად დაამატებს მესამე ოლიმპიურ ოქროს მედალს და ყველა დროში, ყველაზე ტიტულოვანი ქართველი სპორტსმენიც გახდება. ამ გადმოსახედიდან, ლაშას კონკურენტი კი არა, ტოლ-სწორი არ ჰყავს და მუდმივად მეორე ადგილზე გასულ გორ მინასიანზე ალალად ამბობენ – იმდენი ვერცხლი იუდას არ აუღია, რაც ტალახაძემ მინასიანს ააღებინაო. რომ არა ლაშა, მსოფლიო ლეგენდა სწორედ მინასიანი იქნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად...

სანდრო ბაზაძე, რომელმაც ქართული ფარიკაობა ახალ ნიშნულზე აიყვანა. ვინ იფიქრებდა, რომ ქართველი მოფარიკავე მსოფლიო რეიტინგში ნომერი პირველი გახდებოდა და ეს სანდრომ შეძლო.

ძიუდოს ნაკრები წლის საუკეთესო გუნდად დასახელდა, მათი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი – საუკეთესო მწვრთნელად და ეს დიდწილად... ტატო გრიგალაშვილის დამსახურებაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტატო ერთგვარ ბეჭდაუდებელ ფალავნად იქცა და რომ არა მოდუნება, ან მსაჯების მიკერძოება, ყველგან ყველაფერს მოიგებდა. 2024 წლის ოლიმპიადაზეც, თუ ვინმე იქნება მედლისთვის ბრძოლაში ფავორიტი, უპირველესად, სწორედ გრიგალაშვილი, რომელიც ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და გზა ოქროს მედლამდე მართლა გრიგალივით გაიარა.

სათამაშო სახეობებში, წლის საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად, ოლიმპიურმა კომიტეტმა... თორნიკე შენგელია დაასახელა. შესაძლოა, ბევრი ელოდა, რომ

დასასრული მე-14 გვერდზე

რა სპორტული მოვლენებით დაგვამახსოვრდება 2023 წელი

მე-13 გვერდიდან

ამ პრიზს ხვიჩა კვარაცხელია მიიღებდა, მაგრამ ვაღიაროთ – საკალათბურთო ნაკრებმა წელს ისტორიული შედეგი დააფიქსირა, მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ითამაშა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ოლიმპიური სახეობის გუნდირ შეჯიბრში, მსოფლიო პირველობაზე გავედით. თანაც, უბრალოდ მონაწილეობა კი არ მივიღეთ, ჯგუფიდანაც გავაღწიეთ და ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურიც მოვიპოვეთ. ჰოდა, დიდი შანსია, კალათბურთელებმა ოლიმპიური საგზურიც მოიპოვონ და მერე ნახეთ, ოლიმპიური ზეიმი. ჰოდა, ნაკრების წარმატება მისი კაპიტნის, თორნიკე შენგელიას თამაშზე დიდწილად იყო დამოკიდებული და ამიტომ, თოკოსთვის ეს ჯილდო ალალია.

ისე, მომავალი წლის ქართული მოვლენა თებერვალში გვაქვს – ილია თოფურია პირველი ქართველი მებრძოლია, რომელიც UFC-ში ჩემპიონის ქამრისთვის იბრძოლებს და ურთულეს შეხვედრაში, ალექსანდრ ვოლკანოვსკის დაუპირისპირდება. თუ ილია გაიმარჯვებს... ეს მთელი საქართველოს უდიდესი გამარჯვება იქნება და ისიც ვთქვათ, რომ ვარჯიშებზე გასამხნევებლად, ილიასთან რიგ-რიგობით მიდიან სპორტის სხვადასხვა სახეობის ვარსკვლავები. მაგალითისთვის ხერარდ პიკესა და სერხიო რამოსის დასახელებაც კმარა, რომლებმაც ამ შეხვედრის ბილეთები უკვე იყიდეს და ილიას წინა რიგებიდან გაამხნევებენ. მერე იქნება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელზე გასვლის შანსი ძალიან, ძალიან დიდი გვაქვს და თუ ეს მოხდება, გვერწმუნეთ, ეროვნული დღესასწაული გველოდება. მერე კი... მერე მოდის სპორტის ყველა სახეობის გვირგვინი – პარიზის ოლიმპიური თამაშები. რა თქმა უნდა, პარიზში, ძირითადად, ძიუდოისტებისა და მოჭიდავეების იმედად ვიქნებით, მაგრამ ოქროს მედლის შანსი აუცილებლად ექნება სანდრო ბაზაძეს. არ არის გამორიცხული, ისევ მედლისთვის გაისროლოს ნინო სალუქაძემ და რაღა თქმა უნდა, არც კი განიხილება ის, რომ ლაშა ტალახაძე ოქროს გარდა, სხვა სინჯის მედალს აიღებს. მოკლედ, 2024 წელი მედლებით დახუნძლული უნდა იყოს და თუ ფეხბურთელები ივარგებენ, ისტორიულიც!

ქართული სპორტის შემდეგ, მსოფლიოში მომხდარ ამბებზეც ვთქვათ. ყველაზე საინტერესო ალბათ ლიონელ მესის ევროპული ფეხბურთიდან წასვლა იყო. ამერიკულ „ინტერ მაიამიში“ გადასულმა ლეომ ახლა იქაური გულშემატკივრების გულები დაიპყრო და იმედები არ გააცრუა. არადა, ლეოს ასტრონომიული შეთავაზება ჰქონდა არაბეთიდან, სადაც ორწლიანი ბურთაობის სანაცვლოდ, ნახევარდ მილიარდ დოლარს სთავაზობდნენ, მაგრამ მან ამერიკა არჩია, დევიდ ბექჰემის კუთვნილ კლუბში გადავიდა და კარიერის დასრულების შემდეგ, ამ კლუბის თანამფლობელი გახდება. ზოგადად, ბექჰემის დარად, ლეო კარიერის

დასრულების შემდეგ, სწორედ შტატებში აპირებს ცხოვრებას და როგორც ჩანს, ბიზნესს საფუძველი აქედანვე ჩაუყარა.

რადგან გასულ წელზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება იაპონელი შოჰეი ოტანი არ ვახსენოთ. 29 წლის იაპონელმა ბეისბოლის გუნდ „დოჯერსთან“ 10-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ანუ 39 წლამდე ითამაშებს და ამ ათი წლის განმავლობაში, 743 მილიონ დოლარს მიიღებს. ალბათ, გასაკვირი არ არის, რომ ოტანამდე სარეკორდო კონტრაქტი, მის თანაგუნდელს, მაიკ ტრაუტს ეკუთვნოდა, რომელმაც 10 წელიწადში 426 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა. ისე, ბეისბოლი ამერიკელებისთვის სპორტის ეროვნულ სახეობად ითვლება და სარეკორდო კონტრაქტი იაპონელს რომ აქვს, იმას ნიშნავს, რომ ეს ბიჭი ამერიკელებს ათი თავით სჯობს.

და ერთიც – 2023 წლის მიწურულს, მოხდა ისეთი რამ, რამაც შესაძლოა ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ფეხბურთი უბრალოდ მოკლას. მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტა, უეფას სასამართლო დავა მოუგო და სუპერლიგის ჩამოყალიბების უფლება მიიღო. სუპერლიგა დამოუკიდებლად იარსებებს, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგისგან ცალკე, არ დაემორჩილება უეფას და ბიუჯეტი მილიარდობით დოლარი იქნება. ჯერჯერობით, სუპერლიგაში ასპარეზობის სურვილი „რეალმა“, „ბარსელონამ“ და „ნაპოლიმ“ გამოთქვეს, უეფა და ფიფა კი იმუქრებიან, რომ თუ პერესი სუპერლიგას მართლაც ჩამოაყალიბებს და „სახელმწიფოს სახელმწიფოში“ გააკეთებს, უმკაცრეს ზომებს მიღებს და სამივე კლუბს უმკაცრესად დასჯის. საუბარია იმაზე, რომ ასეთ შემთხვევაში, სამივე კლუბის არცერთ ფეხბურთელს უფლება არ ექნება, ეროვნულ გუნდში ითამაშოს, სამივე კლუბი მოიკვეთება შიდა ჩემპიონატიდან და დაეკისრებათ ჯარიმა – 30 მილიონი ევროს ოდენობით. ამასთან ერთად, ფიფას და უეფას ისიც უმაგრებს ზურგს, რომ ისეთმა კლუბებმა, როგორებიც „ბაიერნი“, „მანჩესტერი“, „პსჟ“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და სხვა გრანდები არიან, სუპერლიგაში ჩაბმაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, მაგრამ თუ საქმე მილარდებზე იქნება, კლუბების ბოსებმა გადაწყვეტილებას შესაძლოა გადახედონ.

დასასრულ – თითქოს, საქართველოში სპორტის ყველა სახეობას ეშველა, აგერ, ყინულის ჰოკეის მოედანსაც კი აშენებენ და საფეხბურთო ჩემპიონატს ვერ თუ არ დაადგა საშველი. ქართული კლუბები მერამდენე წელია, ევროთასებზე უბრალოდ ნადგურდებიან და მნიშვნელობა არ აქვს, მეტოქედ საშუალო დონის კლუბი ეყოლებათ, თუ არასაფეხბურთო ქვეყნის, არაპროფესიონალებით დაკომპლექტებული ბანდა, რომლებთანაც ასევე მარცხდებიან. ევროთასების ჯგუფური ეტაპი, ჩვენთვის ასე სანატრელი და სასურველი რომ არის, ფარერულმა კლუბმაც კი დააგემოვნა, მოლდოვურმაც, ლატვიურმაც, ლიტვურმაც და ბელორუსულმაც... უკრაინულზე, რუსულსა და აზერბაიჯანულზე არაფერს ვამბოთ... სომხებიც კი გავიდნენ ჯგუფში და ჩვენ არაფერი გვეშველა.

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ილია ჭავჭავაძე

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ დამოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით დახვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითიგავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს – ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქდაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლისმნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელიგასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ დაარა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსეგიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველასგავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით.შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტესდა მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშაქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმადაგვიჭამოს. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობასსაყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომებივასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებითვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რავირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის რამღაგვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარ-ხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმდროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა მძლეა მარტოის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგმათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელსგაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღაგაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით დავემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? .... არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერიგვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კიველარ გვიპოვის, ველარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდანარა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რაგითხრათ? რით გაგახაროთ?

მემკვიდრეობას საკუთარ მებაღეს უტოვებს

ნიკოლა პიუეხმა – ლეგენდარული მოდის სახლის Herm s-ის მემკვიდრემ განაცხადა, რომ სურს, თავისი ყოფილი მებაღე იშვილოს და მას 11 მილიარდ დოლარად შეფასებული საკუთარი ქონება დაუტოვოს. 81 წლის პიუეხი, რომლიც არ არის დაქორწინებული და არც შვილები ჰყავს, შვეიცარიის უმდიდრესი ადამიანების სიაშია. 2014 წელს, კონკურენტი LVMH-ის მიერ მნიშვნელოვანი წილის აღების შემდეგ, ნიკოლა ძველებურად ფლობს მნიშვნელოვან წილს კომპანიაში, რაც 220 მილიარდად არის შეფასებული. ასაკოვანი პიუეხის გადაწყვეტილება, მემკვიდრეობა მებაღეს დაუტოვოს, რასაკვირველია, არ მოეწონათ მის ნათესავებს. ცნობილია, რომ მებაღე, რომლის სახელიც არ ხმაურდება, ღარიბი მაროკოული ოჯახიდანაა, დაქორწინებულია ესპანელ ქალზე და ორი შვილი ჰყავს.

ევროპის საშობაო დედაქალაქი დაასახელეს

„ბებერი კონტინენტის“ 2024 წლის საშობაო დედაქალაქის ტიტულს ჩეხეთის ქალაქი ბრნო მიიღებს. საერთაშორისო ჟიურიმ აღნიშნა, რომ საშობაო ზეიმები ამ ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს და გასულ წლებში, სტუმარი არა მხოლოდ მთელი ჩეხეთიდან, არამედ უცხოეთიდანაც ბევრი ჰყავდა. ადგილობრივ მეწარმეებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, დიზაინერებთან თანამშრომლობით, ბრნო უდიდეს აქცენტს კულტურულ მემკვიდრეობაზე, შემოქმედებასა და ადგილობრივ თვითმყოფადობაზე აკეთებს. ჟიურის მოსაზრებით, ასეთი ურთიერთთანამშრომლობა განსაკუთრებულ საშობაო ატმოსფეროს ქმნის. ბრნოსთან ერთად, 2024 წელს, შობის ევროპულ ქალაქად ირლანდიური უოტერფორდიც აღიარეს. აღსანიშნავია, რომ ეს ტიტული ენიჭება ქალაქებს, რომელთა მოსახლეობაც 100 ათას ადამიანზე ნაკლებია. მსაჯულებმა განსაკუთრებული ყურადღება ესპანურ ალმანსუსაც დაუთმოს. ევროპის საშობაო დედაქალაქის ტიტული 2017 წელს დაწესდა.

ყავაში დავარგებული ყველი წარადგინეს



ყველის მწარმოებელმა ბრიტანულმა კომპანიამ – Paxton & Whitffield, Rave Coffee-თან ერთად, რომელიც ყავის მოხალვითაა დაკავებული, შექმნა თხის ყველი – Kaldi, რომელიც ყავის მარცვლებშია დავარგებული. პროდუქტს ხილისა და ყავის მარცვლების მომწარო გემო დაჰკრავს. სპეციალისტებმა უამრავი კვლევა ჩაატარეს, გამოიყენეს სხვადასხვა რძე და ყველის სახეობა, ასევე, ყავის ფართო სპექტრი, რათა რთული, დაბალანსებული და დამაინტრიგებელი შედეგი მიეღოთ. წინასწარი დამუშავების შემდეგ, თხის ყველს ყავის მარცვლებში თითქმის 10 კვირას აჩერებენ. კომპანიაში დეგუსტაციისას, ახალ ყველს „ფანტასტიკური“ უწოდეს. ყველი Kaldi უკვე გაყიდვაშია, მისი 250-გრამიანი შეფუთვა 15 გირვანქა სტერლინგი ღირს.

საშობაოდ სასწაულები ხდება

უძრავი ქონების ამერიკული კომპანია St John Properties-ის ბრიტანული ფილიალის ადმინისტრაციამ საკუთარ თანამშრომლებს საშობაო საზეიმო ვახშამზე უმასპინძლა და თითოეულ მათგანს პრემიად 38 ათასი გირვანქა სტერლინგი გადასცა. კომპანიაში სულ 198 თანამშრომელია. ვახშამზე მათ წითელი კონვერტები დაურიგეს წარწერით, „საიდუმლო სანტა“. კონვერტში ჩვეულებრივი ჩეკი იდო, თუმცა არავინ ელოდა, რომ მასზე ამხელა თანხა იქნებოდა მინიშნებული. მთლიანობაში, კომპანიას ასეთი „ჯიბეზე ხელის გაკვრა“ 7.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

გულუხვი ბოსები ასეთ ხარჯზე მას შემდეგ წავიდნენ, რაც გაირკვა, რომ თანამშრომლებმა 6 მილიონი კვადრატული მეტრის საოფისე, სავაჭრო და სასაწყობე ფართების განვითარებასთან დაკავშირებული სამუშაო წარმატებით შეასრულეს. კომპანია St John Properties 1971 წელს, ბალტიმორში, ედვარდ სენტ-ჯონმა დააარსა. ფირმა თავიდან „მცირე დეველოპერის“ რანგში საქმიანობდა, თუმცა მალევე გახდა ატლანტიკის რეგიონში წამყვანი კომპანია. „ჩვენ, გუნდის გარეშე, არაფერს წარმოვადგენთ“, – განაცხადა ამ საზეიმო ვახშამზე სენტ-ჯონმა, რომლიც წელს კი არა, 2019-ში გამართულა. თუმცა, ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად ბევრს ნიშნავს დირექციისთვის რიგითი თანამშრომლის შრომა.

კულინარიული რეცეპტები საფლავის ქვებიდან

ამერიკელმა როზი გრანტმა პოპულარობა საკუთარი, მეტად უჩვეულო ჰობის წყალობით მოიპოვა. ის კულინარიულ რეცეპტებს აგროვებს, რომლებიც საფლავის ქვებზეა ამოტვიფრული. ერთი წლის წინ, როზი საბიბლიოთეკო საქმეს სწავლობდა მერილენდის უნივერსიტეტში და სტაჟირებას კონგრესის სასაფლაოს არქივში გადიოდა. სოციალურ ქსელში მან სწავლების შესახებ ფოტოების გავრცელება, იგივე, რეპორტაჟები სასაფლაოდან დაიწყო. სწორედ ამ პერიოდში, „გარდაცვლილთა ქალაქში“ ჩაფლულმა, აღმოაჩინა საფლავის ქვაზე პირველი რეცეპტი, რომლის მიხედვით კერძიც მოამზადა. როზი ამ საქმიანობამ გაიტაცა და შედეგად, პოპულარობაც მოუტანა.

კიბო გადამდებია?

კანადის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სწავლულები აცხადებენ, რომ შესაძლოა, კიბო გადამდები იყოს. მათი თქმით, რამდენიმე არაინფექციური დაავადება, მაგალითად, სიმსივნე, ჭარბწონიანობა, გულსისხლძაღვთა დაავადებები და დიაბეტი, შესაძლოა, ადამიანიდან ადამიანზე გადადის. ამ ჰიპოთეზას მკვლევარები მიკრობიომის გადაცემის შესაძლებლობით ხსნიან. მირკობიომი ტრილიონობით მიკროორგანიზმის ერთობლიობაა. მასში შედის არა მხოლოდ ბაქტერიები, არამედ, სოკოვანი ინფექციები და ვირუსებიც. სწავლულთა ვარაუდით, ორი ადამიანის კონტაქტის, ან ერთ სივრცეში ყოფნისას, შესაძლოა, მიკრობიომი ერთი მათგანიდან მეორეზე გადავიდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და კიბოს არაინფექციურად მიიჩნევს.

დიანას კაბა რეკორდულ თანხად გაიყიდა

პრინცესა დიანას კაბა, რომელიც მას 1985 წელს ეცვა, აუქციონზე 1.14 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს თანხა რეკორდულია მოდის ინდუსტრიისთვის და 11-ჯერ გადააჭარბა სავარაუდო ღირებულებას. საუბარია ხავერდის შავ კაბაზე, რომელიც ლურჯი ორგანზას ქვედაბოლოთი ბოლოვდება, აქვს დიდი ბაფთა და სარტყელი. კაბა დიზაინერ ჟაკ აზაგურის გუნდმა შექმნა. უელსის პრინცესა მასში იტალიის ტურნეს დროს გამოჩნდა მეუღლესთან, პრინც ჩარლზთან ერთად. კაბის თავდაპირველი ფასი 100 ათასი დოლარი იყო. წინა „რეკორდსმენი“ კაბაც დიანას ეკუთვნის, რომელშიც ის 1991 წელს გამოჩნდა. ეს კაბა 604 800 დოლარად გაიყიდა.

ვისაც ჭურჭლის გარეცხვა ეზარება

სპეციალურად ასეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც ჭურჭლის გარეცხვა არ უყვართ და არც ერთჯერად ჭურჭელს აღიარებს, ბელგიელმა დიზაინერებმა საკვებად ვარგისი კონტეინერების სერია შეიმუშავეს, სახელწოდებით – Do Eat. კონტეინერები 50%-ით კარტოფილის ნაფცქვენისგან შედგება, ნახევარს კი წყალი და ზეთი შეადგენს. შედეგად, საკმაოდ მტკიცე მასალა გამოდის, რომელიც საკვების შესანახადაც კარგია და იმავდროულად, ორგანიზმიც ადვილად ინელებს. ამ ჭურჭლის კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ 100%-ით ეკოლოგიურია და ნეიტრალური გემო აქვს. ავტორები აღნიშნავენ, რომ კონტეინერები კერძების ჰაერლუმელში მომზადებისთვისაც გამოდგება. სიახლე სხვადასხვანაირი ფორმებით წარადგინეს, ერთი შეფუთვა, რომელშიც 25 ცალი კონტეინერია, მსურველს 14 დოლარი დაუჯდება.

ბოტოქსი დეპრესიას იწვევს

ამერიკელმა სწავლულებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ სახეზე ბოტოქსის ინექციამ, შესაძლოა, ღრმა დეპრესია გამოიწვიოს. ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, რაც 25 ქალს დააკვირდნენ, რომელთაც ბოტოქსი სახეზე ნაოჭების გასასწორებლად გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ ბოტოქსის ინექციის შემდეგ, რამდენმე თვის განმავლობაში, სახის კუნთების პარალიზება ხდება, მათ შორის, ტუჩის მიდამოებისაც, რის გამოც, ადამიანი ემოციის გამოხატვას ვეღარ ახერხებს. სპეციალისტების თქმით, ეს გავლენას ახდენს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სწავლულების აზრით, მსგავსი კოსმეტიკური პროცედურები, შესაძლოა, დეპრესიის განვითარების მიზეზი გახდეს. უახლოეს მომავალში, მეცნიერები გეგმავენ იმის გამოკვლევას, როგორ შეიძლება დაეხმარონ პაციენტებს, რომელთაც „სილამაზის ინექციების“ შემდეგ, ემოციების გამოხატვის სირთულე აწუხებთ.

მწვანე ყავა დიაბეტისგან იცავს

ამერიკელმა სპეციალისტებმა ყავის მწვანე მარცვლებში ჰალოგენის მჟავის ზოგიერთი ნივთიერება აღმოაჩინეს, რომელსაც შეუძლია, დიაბეტით დაავადებული ადამიანის სისხლში გარკვეული ხარისხით შეამციროს გლუკოზა და შაქრის სხვა სახეობა. ყველა მედიკოსის დიდი ხნის ოცნებაა ისეთი აბების შექმნა, რომლებიც დიაბეტით დაავადებულებს, ერთდროულად, სისხლში შაქრის დონის დაბალანსებასა და ჭარბი წონის დაკლებაში დაეხმარებოდნენ, – ამბობენ სწავლულები. ამ ოცნების ასრულებას, შესაძლოა, დიდი დრო არ დასჭირდეს, რადგან მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მწვანე ყავის ექსტრატი ამცირებს მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების რისკს. ექსპერიმენტებისას, სწავლულები მოხალისე დიაბეტიან პაციენტებს ყოველდღიურად აძლევდნენ აბებს მწვანე ყავის ექსტრატით. აღმოჩნდა, რომ 22 კვირის განმავლობაში, მონაწილეები საშუალოდ 10%-ით გახდნენ, ხოლო სისხლში გლუკოზის შემცველობა 22-30%-ით შეუმცირდათ. მკვლევარები იმედოვნებენ, რომ უახლოეს მომავალში, ჰალოგენის მჟავაზე შექმნილი პრეპარატები შეძლებენ, დიაბეტით დაავადებულებს შეუმსუბუქონ ცხოვრება.

როდის დგება სიბერე?

ფინელები მიიჩნევენ, რომ სიბერე 74 წლის მიღწევის შემდეგ დგება. ამაზე იმ გამოკითხვების შედეგები მიუთითებენ, რომელიც მოხუცებული ადამიანების კეთილდღეობის ასოციაციამ ჩაატარა. კვლევის მიხედვით, მოსწავლეებისა და სტუდენტების აზრით, სიბერე 68 წლიდან იწყება, 65 წელს გადაცილებული ადამიანები კი ამბობენ, რომ შეიძლება, ადამიანს მოხუცი 78 წლის ასაკიდან უწოდო. აღმოჩნდა, რომ 80 წლისებიც კი არ თვლიან თავს მოხუცებად, ეს მხოლოდ 81 წლის მერე იწყებაო. საშუალოდ, დადგინდა, რომ სიბერე 74 წლის ასაკში დგება. გამოკითხულთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მზად არიან, აქტიურ ცხოვრებაზე არც მერე აიღონ ხელი.

ცოლის მოსაყვანად უნივერსიტეტში ჩააბარა

ჩინეთის ქალაქ ნინბოს მცხოვრებმა მამაკაცმა ქალთა უნივერსიტეტში ჩაბარება გადაწყვიტა. ამ გზით ის ცდილობს ოჯახური პრობლემა მოაგვაროს – შესაფერისი გოგონა გაიცნოს და ცოლი მოიყვანოს. ამ სასწავლო დაწესებულებაში იმდენი გოგოა, აქ თუ ჩავაბარებ, ძნელი არ იქნება მეორე ნახევრის მოძებნა, – იმედიანად განაცხადა მამაკაცმა. ეს გადაწყვეტილება მას ოჯახმაც მოუწონა, თუმცა მამა აფრთხილებს, რომ ამ რაოდენობის სუსტი სქესის წარმომადგენლების გავლენით, სერიოზულად არ შეიცვალოს. ჩინეთის ქალთა უნივერსიტეტი, ყოველწლიურად, 1500 სტუდენტს იღებს და აქედან მხოლოდ 1%-ია ვაჟები. მათთვის იქ ცალკე საერთო საცხოვრებლია.

თოჯინა მარტოსული ქალებისთვის



კომპანია Delaware Realbotix-ის სპეციალისტებმა მარტოსული ქალებისთვის რობოტი, სახელად ჰენრი შექმნეს, რომელიც მათ სამსახურზე, ფილმებსა და ქალურ პრობლემებზე ესაუბრება. გარდა ამისა, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ჰენრი ფიზიკურ დაღლილობასაც მოუსხნის და მათ სექსუალურ მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს. დამკვეთს შეუძლია, რობოტის სხეულის თითოეული ნაწილი თავად შეარჩიოს – სხეულის აღნაგობა, თმის ფერი და სხვა წვრილმანები. თოჯინის სიმაღლე 180 სანტიმეტრია, მასში ჩადგმული მიკროკომპიუტერი შეიცავს არა მხოლოდ სტანდარტულ კითხვებს, არამედ, სპეციალურ სენსორებსაც, რომელსაც ადამიანის ხმისა და მეტყველების გარჩევა და პასუხების მომზადება შეუძლია. რობოტის სხეული სილიკონისაა და მისი გარეცხვაც შესაძლებელია. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მათ პროდუქტზე მოთხოვნა მზარდი იქნება, რადგან დღეს ბევრი ქალი გრძნობს თავს მარტოსულად, საკუთარ თავში იკეტებიან და ახალ ნაცნობებსაც ვერ იძენენ. ამიტომ, თოჯინა ჰენრი მათთვის იდეალური თანამოსაუბრე და მეგობარი გახდება.

კოსმონავტებს მთვარეზე ბინებს აუშენებენ



ინდოეთის კოსმოსურ სააგენტო ISRO-ს ყველა შანსი აქვს, პირველი კოსმოსური დეველოპერი გახდეს – სააგენტოს სპეციალისტები მთვარეზე ასტრონავტებისთვის პირველი საცხოვრებლების მშენებლობას განიხილავენ. თუმცა, მთვარის ქალაქი პლანეტის მიღმა საუკეთესო არქიტექტურული დედაქალაქის წოდების მიღების პრეტენდენტი ნადვილად ვერ იქნება: საცხოვრებლების პირველი ესკიზების მიხედვით, კოლონისტების სახლები ესკიმოსების ყინულოვან სახლებს უფრო ჰგავს. ინდური კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები ამბობენ, რომ მთვარეზე საცხოვრებლებზე ექსპერიმენტები, პირველ რიგში, იმ მასალებისა და ხსნარების შემოწმებას უკავშირდება, რომლებიც საიმედო კონსტრუქციების ასაშენებლადაა საჭირო. რაც შეეხება საცხოვრებელ პირობებს, ინდოელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ ეს პრობლემა მას შემდეგ უნდა მოგვარდეს, რაც უჟანგბადო, უწყლო და სხვა ატმოსფერული თვისებების პირობებში, სწრაფი მშენებლობის კონცეფცია გადაიჭრება.

მუშაობაში ხელს უძილობა უშლით

კანადელი მოსახლეობის შრომისუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უძილობაა. მხოლოდ პატარა პროვინცია კვებეკში, რომლის მოსახლეობაც 7 მილიონს შეადგენს, უძილობის სამკურნალოდ წელიწადში, დაახლოებით, 6.5 მილიარდი დოლარი იხარჯება. ეს რიცხვი Hackensack University-ის ექსპერტებმა გამოთვალეს. უძილო ღამეების გამო, რომელსაც თან შფოთიანობა და დეპრესიაც ემატება, კანადელები სულ უფრო ხშირად ამჩნევენ, რომ ძალიან უჭირთ სამსახურში სამუშაოსთვის თავის გართმევა და დაკისრებულ მოვალეობებს დროზე ვერ ასრულებენ. როგორც აშშ-ში, კანადაშიც უძილობას ბევრი სადაზღვევო კომპანია იმ სამედიცინო პირობად არ მიიჩნევს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. არადა, გამოკვლევების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს უკვე ქრონიკული უძილობა სტანჯავს. ამ პრობლემის მოგვარებას სუსტი სქესის წარმომადგენელთა 60% ალკოჰოლით ცდილობს. გამოკვლევებმა ისიც დაადგინა, რომ უძილობის გამო, ადამიანი წელიწადში 27 სამუშაო დღეს აცდენს, რაც 5 მილიარდი დოლარის დანაკარგს იწვევს.

პლასტიკატის შეფუთვა თავის ტკივილს იწვევს

აშშ-ის კანზასის უნივერსიტეტის მკვლევარები, რომელთაც მღღნელების თავის ტვინზე ბისფენოლის ზემოქმედება შეისწავლეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პლასტიკური შეფუთვა თავის ტკივილებს იწვევს. სწავლულებმა ექსპერიმენტი თაგვებზე ჩაატარეს და მათი ქცევა გააანალიზეს: ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი თაგვები უფრო პასიურები ხდებოდნენ. ამერიკელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ ბისფენოლმა, რომელსაც პლასტმასის ბოთლები თუ საკვების შეფუთვა შეიცავს, თაგვებში თავის ტკივილი გამოიწვია. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ნივთიერების ორგანიზმზე მოქმედების გამო, თავის ტკივილის სიმპტომები უფრი მკვეთრად გამოიხატება.

სიყვარულის გამო დააპატიმრეს

საფრანგეთში მცხოვრებ მამაკაცს ერთწლიანი პატიმრობა იმის გამო მიუსაჯეს, რომ მან საყვარელ ქალს, განშორების შემდეგ, ხუთი თვის განმავლობაში, 4500 სატელეფონო შეტყობინება გაუგზავნა. წყვილი ერთმანეთს წელიწადნახევრის განმავლობაში ხვდებოდა, თუმცა ქალმა ეჭვიანი პარტნიორი მიატოვა. მამაკაცმა კი განშორებას ვერ გაუძლო და მას 416-ჯერ დაურეკა, 317 ხმოვანი და 4252 ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა. საყვარელი ქალის ნახვის მიზეზით, ის მის სახლშიც შეიპარა, ხელები შეუკრა და პოლიციაში დარეკვის ნება არ მისცა. „მე მისით მოჯადოებული ვიყავიო“, – განაცხადა სასამართლოზე, თუმცა ტულუზას თემიდამ მისი ქმედება სიყვარულის კი არა, ძალადობის გამოვლინებად მიიჩნია და უიმედოდ შეყვარებულ ფრანგს ერთი წლით პატიმრობის განაჩენი გამოუტანა.

კაფე სიკვდილის თემაზე

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში, თემატური კაფე გაიხსნა, რომელიც სიკვდილს ეძღვნება. კაფეს ცენტრში თეთრი კუბო დგას, კლიენტებს კი, რომლებიც დათანხმდებიან, მისი სახურავის ქვეშ რამდენიმე წუთი გაატარონ, ფასდაკლებით ემსახურებიან. ადგილობრივი მედიის ცნობით, თავად დაწესებულების ინტერიერიც თემატურადაა გაფორმებული – დივანის კუთხეში ადამიანის ჩონჩხი „ზის“, სასმელების დასახელებები მენიუში კი აჭრელებულია სიტყვებით – „სიკვდილი“ და „ტკივილი“. კაფეს მფლობელის თქმით, ის ტაილანდის მცხოვრებლებს ახსენებს, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა. კუბოში გატარებული რამდენიმე წუთი კი, მისი აზრით, განსაკუთრებით სასარგებლოა მოზარდებისთვის – თავდახურულ სივრცეში აღმოჩენისას, ისინი იხსენებენ, რამდენი რამ აქვთ გასაკეთებელი.

კაკალი სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის

ყოველდღიურად ნიგვზის მოხმარება ნაწლავებში ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ პენსილვანიის უნივერსიტეტის სწავლულები. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომელშიც 30-დან 65 წლამდე ასაკის ჭარბი წონის მქონე მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დიეტაში ნაჯერი ცხიმები შეცვალეს კაკლით და მცენარეული ცხიმებით. ექვსკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაირკვა, რომ ნიგვზის ყოველდღიური მოხმარება იწვევს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის ზრდას ნაწლავებში. დღეში 50-80 გრამი ნიგოზიც კი დადებით გავლენას ახდენს ნაწლავების მიკროფლორაზე, ამცირებს გულის დაავადებების რისკს და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას, – აცხადებენ ექსპერტები.

მაკარონი გახდომაში დაგეხმარებათ

კანადელი სწავლულები ამტკიცებენ, რომ დიეტის დროს, მაკარონის გამოყენება დასაშვებია. ტორონტოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ამ თემაზე კვლევა ჩაატარეს. მათ ექსპერიმენტში 2500 მოხალისე მონაწილეობდა და თითოეული მათგანი კონკრეტულ დიეტას იცავდა, ნახშირწყლების სახით კი მათ მხოლოდ მაკარონის მირთმევა შეეძლოთ. კვლევის ბოლოს აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მოხალისემ, საშუალოდ, კილონახევარი დაიკლო, არადა, ისინი კვირის განმავლობაში, სამ ულუფა მაკარონის კერძს მიირთმევდნენ. სპეციალისტების თქმით, მაკარონს დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვს. ეს პროდუქტი ხელს უწყობს სისხლში შაქრის დონის კონტროლს და ორგანიზმის მიერ ნელა აითვისება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.